ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს
№65 (1575) 1–3 ივლისი, 1997 წელი

## დადგა ზაფხული და რუსეთი თესვას აგრძელებს საქართველოში



## გაზეთ „საქართველოს" მთავარი რედაქტორის განცხადება

პოლიტიკურ მიმომხილველთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ერთმა ნაწილმა უშიშროების მინისტრის საწინააღმდეგო კამპანიაში დაინახა აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტისათვის ხელის შეშლის მცდელობა.

ვფიქრობ, ეს დემაგოგიაა, აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტას ხელს უშლის არა უშიშროების სამინისტროს ცალკეულ მუშაკთა არაკეთილსინდისიერი ქმედების მხილება, არამედ ის, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულების ნაცვლად, დაკავებული იყო და თანხებს ხარჯავდა თავისივე მოქალაქეების არასანქცირებულ მოსმენებზე.

პირადად მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თუ თეორიული შანსი მაინც არსებობს იმისა, რომ უშიშროების მინისტრის წინააღმდეგ გამოსვლები საქართველოსთვის საზიანო პოლიტიკური სპექტაკლია, ამ სპექტაკლთან ჩემს პიროვნებასა და გაზეთ „საქართველოს" არანაირი კავშირი არ აქვს.

## საყურადღებო სიახლე

### კოფი ანანი:
## თუ მხარეები შეთანხმდებიან, გაერო მზადაა აფხაზეთში განალაგოს სამშვიდობო ძალები

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ჟურნალ „მეჟდუნაროდნაია ჟიზნისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა – „ჩვენ ვფიქრობთ, რომ კარგად ვმუშაობთ დსთ-ს ქვეყნებთან – საქართველოში და ტაჯიკეთში. მე საშუალება მქონდა რუსეთის ლიდერებთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ევგენი პრიმაკოვთან განმეხილა სამშვიდობო ოპერაციებში თანამშრომლობის პრობლემები არა მარტო სამხედრო სფეროში. განხილვის საგანი აგრეთვე იყო ის პოლიტიკური ნაბიჯები, რომელზედაც ჩვენ მზად ვართ წავიდეთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს კონფლიქტების მოწესრიგება საქართველოსა და აფხაზეთს შორის, სადაც გაეროს ჰყავს თავისი წარმომადგენლები. ჩვენ განვიხილავთ შესაძლებლობას, უფრო აქტიურად ჩავერთოთ საქართველოსა და ტაჯიკეთში პრობლემების მოსაგვარებლად.

უშიშროების საბჭომ კარი გაუღო აფხაზეთში გაეროს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობას. და, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ უშიშროების საბჭომ მიიღოს მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციაში, მაშინ ჩვენ მზად ვართ აფხაზეთში განვალაგოთ გაეროს სამშვიდობო ძალები". (თამბე-ექს-პრესი)

## მარგიანმა საჩივარი შეიტანა პროკურატურაში სარიშვილისა და ბარამიძის წინააღმდეგ

საქართველოს ყოფილმა ვიცე-პრემიერმა ავთანდილ მარგიანმა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საჩივარი შეიტანა კორუფციასთან ბრძოლის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის გიორგი ბარამიძისა და ედპ-ის ლიდერის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას წინააღმდეგ.

„თავის ანგარიშში გიორგი ბარამიძე ცილს მწამებს – თითქოსდა მე რამდენიმე მძიმე დანაშაული ჩავიდინე და ჩემი ქმედებით მნიშვნელოვანი ზარალი მივაყენე საქართველოს" – უთხრა პრაიმ-ნიუსს ავთანდილ მარგიანმა.

კორუფციასთან ბრძოლის საპარლამენტო კომისიის ბრალდება მარგიანის მიმართ თურქმენეთის ვალის დაფარვის დროს დაშვებულ დარღვევებს ეხება. ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ, მარგიანის თქმით, დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე მას შევარდნაძის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტის ორგანიზებაში დასდო ბრალი.

„დარწმუნებული ვარ – პროკურატურა იტყვის სათქმელს" – თქვა მარგიანმა და აღნიშნა, რომ პროკურატურამ „უკვე შეამოწმა" იგი და მისი ნათესავები და ძიებისას ყველა კითხვას კონკრეტული პასუხი გაეცა. (პრაიმ-ნიუსი)

## რომ დაისაჯო, მაინცდამაინც მინისტრი უნდა იყო?

ბატონო ნოდარ! პირუთვნელ, სამართლიან კაცად გიცნობთ და ძალიან მიმძიმს თქვენთვის საყვედურის თქმა. მაინცდამაინც უშიშროების მინისტრის რანგის თუ არ არის კაცი, ანდა მაინცდამაინც თქვენ და ბატონ ნოდარ ნათაძეს თუ არ მოგაყურადათ ტელეფონზე, ისე, ჩვეულებრივი მოკვდავი, მაგალითად, რომელიმე ფირმის პრეზიდენტი, ვერ უნდა გახდეს თქვენი ყურადღების ღირსი? არადა, სამწუხაროა, რომ მინისტრთან ჭიდილის ფონზე სავსებით ანეგდოტური ამბები გამოგრჩათ მხედველობიდან. როგორ გგონიათ, რა სასჯელია საქართველოში გათვალისწინებული არამინისტრებისთვის, რომლებიც სხვის სატელეფონო საუბრებს ისმენენ? არც არაფერი! საკმარისია, განაცხადო – ფულს კი არ ვიღებდი ამ საქმეში, არამედ, პირიქით, „ვაძლევდიო" და წადი თურმე შენს გზაზე! ყოველ შემთხვევაში, ასე-

3

# გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება

### რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დადგენილების თაობაზე

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო დადგენილება კსძ-ს შესახებ" (იხ. „ნეზავისიმაია გაზეტა", 24.06.97 წ.) გეოპოლიტიკის საკითხების კომიტეტის ინიციატივით, რომლის მიხედვითაც, ავტორის სიტყვებით, „ბორის ელცინს წინადადება ეძლევა СНГ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოზე გაიტანოს წინადადება აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელების შესახებ". ამით სათათბირომ ცნო СНГ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს უფლება, განიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე კსძ-ის მანდატის გაგრძელების საკითხი კონფლიქტის მონაწილეთა სათანადო ინიციატივის გაუთვალისწინებლად და, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღოს საქართველოში წარმოქმნილ სიტუაციაზე ზემოქმედების შესახებ საქართველოს ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად. სგრპ თვლის, რომ სახელმწიფო სათათბიროს ეს განცხადება საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევისა და მის მიმართ აგრესიული პოლიტიკის გამოვლინების აქტია. ის, რომ „დეპუტატები რუსეთის პრეზიდენტს წინადადებას აძლევენ, შესთავაზოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოლაპარაკება აწარმოოს კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან უშუალოდ აფხაზეთში სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელების თაობაზე", არ არღვევს კანონიერების ფარგლებს, თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს არ წარმოადგენს იმ წყაროს, საიდანაც შესაძლებელია აგრესიისაგან თავისუფალი მისწრაფებების მატარებელი წინადადებები მომდინარეობდეს საქართველოში რაიმე პროცესების მოგვარების თაობაზე. მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს წინადადება ფედერაციის საბჭოსადმი, განიხილოს ეს საკითხი", ნიშნავს ამ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიწვევას საქართველოს მიმართ კანონსაწინააღმდეგო აგრესიულ პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად.

როგორც პუბლიკაციაშია ნათქვამი „ამასთან ქვედა პალატის დეპუტატებმა დღის წესრიგიდან ამოიღეს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის საკითხი, ჩათვალეს, რა, რომ პარლამენტის ჩარევამ შესაძლოა გაართულოს კონფლიქტური სიტუაციის მოსალოდნელი სტაბილიზაციის საქმე. რუსეთის წამყვან პოლიტიკოსთა, მათ შორის, პრეზიდენ ელცინის არაერთი გამონათქვამის ფონზე იმის შესახებ, რომ ხსენებული ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის რატიფიცირებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში (როგორც ისინი უწოდებენ „სამხრეთ ოსეთი"), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო სათათბირო აგრძელებს საქართველოს შანტაჟს ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარის თქმის მუქარით, იმ მიზნით, რომ აიძულოს საქართველო მის სახელმწიფო ინტერესებთან შეუთავსებელი ცვლილებები განახორციელოს თავისი ტერიტორიული მოწყობის საკითხში, რითაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რუსეთის აგრესიულ დაინტერესებას საქართველოში სისხლიანი კონფლიქტების ინსპირირებით, რომლებიც ეთნიკურად გამოიყურებიან, მაგრამ სინამდვილეში პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ.

სგრპ მიმართავს მსოფლიო საზოგადოებრიობას მოწოდებით, ყურადღებით ადევნოს თვალყური რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს იმპერიული მისწრაფებების გამოვლინებებს, სათათბიროსი, რომელიც თავისი მრავალრიცხოვნებისა და არჩევის დემოკრატიული პროცედურის შედეგების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსახლეობის განწყობის ყველაზე სრულ გამომხატველს, და გაითვალისწინოს შესაბამისი ფაქტები რუსეთის რეგიონის მიმართ პოლიტიკის განსაზღვრის საქმეში.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი

# აფხაზეთიდან ლტოლვილი: თუ გამომასახლეს, აფხაზების მხარეს გადავალ

„მე აფხაზეთის მხარეს გადავალ და მათთან ერთად დავდგები იარაღით ხელში, თუ ჩემს შვილებთან ერთად ქუჩაში გამაგდებენ" – განუცხადა პრაიმ-ნიუსს აფხაზეთიდან ლტოლვილმა ლალი ლუკაევამ, რომელსაც დიღომში მდებარე „საქპროექტის" შენობიდან ასახლებენ ათობით ლტოლვილთან ერთად.

ლალი ლუკაევა, რომლის მეუღლე დღემდე აფხაზების ტყვეობაში იმყოფება, ათამდე ლტოლვილთან ერთად გუშინ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ზურაბ ერქვანიასთან მივიდნენ მხარდაჭერის მოთხოვნით.

„საქპროექტის" შენობაში, რომელიც უკვე მეექვსე წელია, არ ფუნქციონირებს, 130 ლტოლვილი ოჯახი, სულ 800 კაცი ცხოვრობს. „მიუხედავად ამისა, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მოითხოვს ჩვენს გამოსახლებას შენობიდან" – ამბობს აფხაზეთიდან ლტოლვილი ნოდარ გეწაძე, რომელმაც ომში დაკარგა ფეხი და დღემდე ქართული გვარდიის სამხედრო ფორმას ატარებს.

მისი თქმით, „შაბათს, გამთენიისას, ინსტიტუტის ბუნკერში ხანძარი გაჩნდა, ეს განზრახ, ჩვენს დასაშინებლად იყო გაკეთებული". გეწაძემ და მის გვერდით მდგომმა ქალებმა ხანძრისაგან გამოწვეული ქაოსის დროს მიღებული ჭრილობების ჩვენება დაიწყეს.

„მე დღემდე არ გამაჩნია ბინა და ჩემს შვილიშვილებთან და რძალთან ერთად იქ ვათენებ ღამეს, სადაც მომიწევს" – თქვა 80 წლის თეთრწვერა მოხუცმა ამირან დგებუაძემ.

„ჩემი შვილი დაიღუპა, რძალი ავადმყოფია, მე თვითონ სიკვდილის პირას ვარ მისული. ბოლო დროს იმასღა ვფიქრობ – ნეტა ჩემი შვილიშვილები ჩემს ცხონებულ შვილთან ერთად დაეხოცათ, რადგან მათი შენახვის არანაირი საშუალება არ გამაჩნია".

მან თავისი ტანსაცმელი გვაჩვენა, რომელიც აშკარად სხვისი ნაქონი იყო. „არ იფიქროთ, რომ... ეს კეთილმა ხალხმა მაჩუქა. ყველა მპირდება მხოლოდ, შედეგს ვერაფერს ვხედავ. რა ვქნა აღარ ვიცი..." – გვითხრა დგებუაძემ და თვალებზე ცრემლი მოადგა.

ვიკა ქავჭარაძე, პრაიმ-ნიუსი

# ერევანი: სიტყვის თავისუფლება საფრთხეშია!

25-27 ივნისს სევანის ტბაზე ერევნის პრეს-კლუბმა ქართველი ჟურნალისტები სემინარზე მიგვიწვია, რომელიც დააფინანსა ფარის დემოკრატიის პროგრამამ, ტასისმა და ევროსაბჭომ. ჩვენს საუკუნო მეზობლებთან ეჭვიანობა რა მოსატანია, მაგრამ აშკარაა, რომ დასავლეთი მეტ ყურადღებას აქცევს სომხურ მასმედიას, რადგან საქართველოში არცერთ ჭეშმარიტ ჟურნალისტურ გაერთიანებას, ზემოთაღნიშნული ორგანიზაციებისაგან, 200 ათასი დოლარი პროგრამის რეალიზაციისათვის არასოდეს მიუღია. მაგრამ ქართულ სინამდვილეში არაა გამორიცხული, რომ ვიღაც-ვიღაცეებს მეტი თანხაც აქვთ დახარჯული, თუმცა მასმედიის დემოკრატიული განვითარებისათვის თავი არ მოუკლავთ და თავისი ფსევდოორგანიზაციებისათვის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ულევწიათ. რაც შეეხება თვითკრიტიკას, ერევნის პრეს-კლუბის მუშაობამ დამარწმუნა, რომ საქართველოში დასავლეთელი პარტნიორები ვერ ხედავენ ისეთ აქტიურ, კონსტრუქციულ და ქმედით ჟურნალისტურ გაერთიანებას, რომელსაც შეეძლება ხარისხით და მოცულობით ამხელა სამუშაო გასწიოს.

სემინარის თემები, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში განვიხილეთ, მართლაც ყოვლისმომცველი იყო:

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტები დემოკრატიის განვითარების საქმეში.

ამიერკავკასიის ქვეყნებში საარჩევნო კომპანიების გამოცდილების განზოგადება და დასავლეთ. ევროპული პრაქტიკის გაცნობა.

მას ინფ. საშ. უფრო ეფექტურად გამოყენება და რეგიონის ჟურნალისტების გავლენის გაზრდა პოლიტიკურ პროცესებზე. ამ სფეროში თანამშრომლობის ფორმების შემუშავება.

უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელებისათვის საჭირო უფლებების მიღებაში არსებული გამოცდილების გაზიარება ჟურნალისტებისათვის. ამიერკავკასიის ჟურნალისტთა პროფესიონალური სოლიდარობის გზების გამონახვა.

ოთხი დღის განმავლობაში ევროპელი კოლეგები ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ ჩვენს პრობლემებში. მასობრივი ინფორმაციის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით სომეხ და ქართველ კოლეგებს სხვადასხვა მიდგომა აქვთ: ჩვენ ვთვლით, რომ არავითარი სპეციალური ორგანოს შექმნა და კანონი არაა საჭირო, რადგან კანონმდებლობამ სხვა კანონების საშუალებით შეიძლება დაარეგულიროს პრესისა და ტელევიზიის მუშაობა. სომეხი კოლეგები კი თვლიან, რომ სწორედ დაწვრილებით ჩამოყალიბებული პუნქტებით შესაძლებელი იქნება სომხური ისტებლიშმენტის მადის შეზღუდვა.

ევროსაბჭოს ექსპერტმა რაიმონ პრიეტო სუარესმა, ბრიტანეთის ევრაზიის ცენტრის წარმომადგენელმა იიან ელიოტმა, ჟურნალ „ეკონომისტის" რედაქტორმა დავით მანასიანმა, ბიბისის მსოფლიო სამსახურის რედაქტორმა ელიზაბეტ რობსონმა ისაუბრეს დემოკრატიის განვითარების პერსპექტივებზე ყოფილი ტოტალიტარული სახელმწიფოების საზოგადოებაში, სადაც მასმედიის დემოკრატიულობა და თავისუფალი აზრი განსაზღვრავს და ხელს უწყობს ჩვენს მომავალ განვითარებას. ევროპის ჟურნალისტიკის ცენტრის წარმომადგენელმა დავით ვან დერ ხოუვენმა კი წარმოგვიდგინა ევროპული თავისუფალი სიტყვის უმაღლესი ხარისხი თავისი ყოველკვირეული ხელნაწერი გაზეთის სახით.

ქართველმა ჟურნალისტებმა, რომლებსაც სომეხი კოლეგებიც დაეთანხმნენ, წამოჭრეს პრობლემა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მხრიდან ჟურნალისტების და მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების შელახვის ფაქტების შესახებ. აღმოჩნდა, რომ საქართველოში და სომხეთში უშიშროების უწყებამ ვერაფრით ვერ გაითავისა ქვეყნის დამოუკიდებლობა, ვერ გაითავისა თავისი მოქალაქეების უფლებები და სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის საჭიროება. ეს ძალოვანი სტრუქტურები ისევ მუშაობენ ძველი საბჭოთა მოდელის მიხედვით და თავისი მოქალაქეების თვალყურის დევნებას არიან გადაყოლილნი, ისმენენ მათ საუბრებს, იწერენ და ანალიზს უკეთებენ ჟურნალისტთა საქმიანობას; მეტიც, ისინი კანონის დარღვევით იძახებენ ჟურნალისტებს და აკავებენ მათ, რათა გაარკვიონ ინფორმაციის წყარო, სადაც კორესპონდენტები იღებენ ინფორმაციას. სემინარის მონაწილეებმა დაგმეს უშიშროების სამსახურების ასეთი ქმედება და მიიღეს შესაბამისი განცხადება.

სემინარის მონაწილეებმა მიიღეს საპროტესტო განცხადება, რომელიც გმობს უშიშროების სამსახურის მიერ ჟურნალისტთა დისკრიმინაციას და საქართველოსა და სომხეთში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას. განცხადებაში აღნიშნულია სომხეთსა და საქართველოში მომხდარი ფაქტების ანალიზი, კერძოდ, სააგენტო „ნოიან ტაპანის" და გაზეთ „საქართველოს" მიმართ გატარებული არაკანონიერი ქმედებები სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მხრიდან. ჟურნალისტები მოუწოდებენ მსოფლიოს ყველა ორგანიზაციას, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს, ყურადღება მიაქციონ საქართველოსა და სომხეთში ხელისუფლების არაკონსტიტუციურ, კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს.

მანანა იაშვილი



## ქრონიკა

### ზურაბ ჟვანიას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებაში შესაძლო საკადრო ცვლილებები გავლენას ვერ მოახდენს აფხაზეთის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციაზე

„თუ 31 ივლისამდე აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში რეალური პროგრესი არ იქნება მიღწეული, უპირველეს ყოვლისა ლტოლვილთა დაბრუნების მხრივ, პარლამენტი ძალზე პრინციპულად მოითხოვს 30 მაისის დადგენილების შესრულებას" – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ.

ჟურნალისტის კითხვაზე – კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების მოსალოდნელი გაყვანით, ხომ არ დადგება ავტომატურად რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობის საკითხი საქართველოში, ზურაბ ჟვანიამ უპასუხა, რომ სამშვიდობო ინიციატივებში და აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომლის გამართვის ინიციატივით გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ თუკი იქნება რეციდივები კონფლიქტის ზონაში, აფხაზეთის უკანონო ხელისუფლებისათვის იარაღის მიწოდება და სხვა, მაშინ, ჩვენ აუცილებლად დავსვამთ რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში არსებობის მიზანშეწონილობის საკითხს.

ზ.ჟვანიას განცხადებით, ბუნებრივია, ამ პერიოდში ცვლილებები ხელისუფლებაში, თუკი ეს მოხდება, არასასურველია, მაგრამ ეს ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს აფხაზეთის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციაზე. (მოამბე-ექს-პრესი)

### «სატელეფონო საუბრების მოსმენა მიუღებელია» აცხადებს ზურაბ ჟვანია

30 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა – „თუ ვაყალიბებთ დემოკრატიულ საზოგადოებას, სატელეფონო საუბრების მოსმენა მიუღებელია და აქედან გამომდინარე, ვინც ამ სკანდალშია გარეული, პასუხიც მას მოეთხოვება. აქ ვითარება უალტერნატივოა. მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების მინისტრის კვირაიას საკითხი დიდი ნერვების ფასად დაგვიჯდა, აღნიშნა მან, აქ დადებით პრეცენდენტთანაც გვაქვს საქმე, რაც შექმნის ახალ, ამკრძალავ პირობებს, რათა არ განმეორდეს ანალოგიური სკანდალი (პრემიერი)

### ეუთო მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ჩაერთვება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში – განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა ვოიცეხ ლამენტოვიჩმა ჟურნალისტებთან საუბარში.

მისი თქმით, 5 ივლისს ვარშავაში იგი წარდგება ამ ორგანიზაციის მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაზე, სადაც მოხსენებას გააკეთებს აფხაზეთის საკითხზე. ლამენტოვიჩის ინფორმაციით ივლისის ბოლოს ჟენევაში გაეროს ეგიდით გაიმართება აფხაზეთის პრობლემისადმი მიძღვნილი სპეციალური კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც ეუთო-ც მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კახა ჩიტაიას განცხადებით, 5 ივლისს ამ ორგანიზაციის მუდმივმოქმედი კომისიის და შემდეგ კი საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე გადაწყდება, თუ რა სახით მიიღებს მონაწილეობას ეუთო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. (პრაიმ-ნიუსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომ დაისაჯო, მაინცდამაინც მინისტრი უნდა იყო?

პირველი გვერდიდან

თი სასჯელი აკმარეს ქალბატონს, რომელიც გ.ბატატუნაშვილის (თ.ელიზბარაშვილის, „ელიზის“ პრეზიდენტის · ბიძაშვილი) დავალებით ფირმა „ომეგას“ ხელმძღვანელობის სატელეფონო საუბრებს ისმენდა და იწერდა საათობით. ამ ჩანაწერების საფუძველზე დაიგეგმა და განხორციელდა 14 მარტის ყაჩაღური თავდასხმა აეროპორტის ტრასაზე. ამ ქალბატონმა განაცხადა, დაინტერესება არაფერი მქონია, უბრალოდ, გელა ბატატუნაშვილის საყვარელი ვიყავიო. ჰოდა, დაუჯერეს და გაუშვეს. თქვენ კი, მხოლოდ იმიტომ, რომ შ.კვირაია მინისტრია, გადაჭარბებულ ყურადღებას იჩენთ მის მიმართ და „გაშვებას“ კი არა, იმპიჩმენტს მოითხოვთ. რას ჰგავს ეს?

ანდა – დააკავეს კაცი, ეჭვმიტანილი ყაჩაღობაში, ჯაშუშობაში, ქრთამის შეძლევა–აღება–გადაცემაში და რა? საკმარისი იყო მის ადვოკატს გულზე ხელის დადებით განეცხადებინა, ამ კაცს ბავშვობაში ნამდვილად შეუწუხდა რამდენჯერმე გული და ერთხელ, მგონი, ექიმსაც კი გამოუძახესო და გაუშვა მოსამართლემ ის პატიოსანი კაცი სახლში. თქვენ კი ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქციეთ და არც გამოეხმაურეთ. ახი არ იქნება ახლა თქვენზე, უშიშროების მინისტრმა ცნობა რომ მოგიტანოთ, ბავშვობაში ყბაყურა მჭირდაო და საქმის განხილვის გადადება მოითხოვოს? დიახაც, რომ ახი იქნება!

ასე რომ, ბატონო ნოდარ, ძალიან „მაღლა–მაღლა“ პაექრობისას ცოტა „დაბლაც“ ჩამოგვხედეთ – ჩვეულებრივ მოკვდავთაც ხომ იგივე სასჯელი გვერგება ანალოგიურ ქმედებებზე.

გ.ბარამიძე

# რატომ შეუწყდა „ელიზს“ „ფილიპ-მორისის“ დისტრიბუტორობა

ისეთი სოლიდური კომპანია, როგორიც „ფილიპ მორისია“, არასოდეს არ ღებულობს ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. მისი ყოველი ნაბიჯი ახალი ბაზრის ათვისებისას ღრმად არის შესწავლილი კომპანიის ანალიტიკური განყოფილების მიერ. მომავალი სავარაუდო პარტნიორის შესახებ იკრიბება ამომწურავი ინფორმაცია. მოწმდება მისი შიდა და საგარეო ეკონომიური კავშირურთიერთობები. ცალკე შესწავლის საგანია პარტნიორი ფირმის ხელმძღვანელობის პიროვნული სურათი. ოჯახური მდგომარეობიდან დაწყებული პოლიტიკური კუთვნილებით დამთავრებული. გადავხედოთ წინა ისტორიას. ფირმა „ელიზმა“ შესძლო იგორ გიორგაძის ზეობის პერიოდში დაეგროვებინა დიდძალი თანხები. მაშინ ფირმის მთელი ბიზნესი წმინდა წყლის კონტრაბანდაზე იყო აგებული. გავიხსენოთ, როგორ სხდებოდნენ ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე სიგარეტით გაძეძგილი სატრანსპორტო АН-ები და ИЛ-ები. მათ მიერ ჩამოტანილი პროდუქცია ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე იყიდებოდა, მხოლოდ მიღებული შემოსავალი შემომტანთა ჯიბეს ხმარდებოდა. მოკლე დროში ამ განუკითხავი შემოსავლების მეშვეობით „ელიზი“ იქმნის სიგარეტის იმპორტის ლიდერის იმიჯს. არ იშურებს თანხებს რეკლამისათვის და ერთი შეხედვით მართლაც სტოვებს ლიდერის შთაბეჭდილებას. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ბიზნესის იმავე სფეროში მომუშავე სხვა ფირმები ამ დროისათვის რატომღაც თითქმის მთლიანად უგულებელყოფენ რეკლამას.

გიორგაძის გაქცევის შემდეგ „ელიზი“ იძულებული ხდება ნაწილობრივ მაინც გაალეგალუროს ბიზნესი. იგი მიმართავს „ფილიპ მორისის“ კომპანიას. ჩამოჰყავს თბილისში მისი წარმომადგენლები. აღწევს იმას, რომ ხდება „ფილიპ მორისის“ ოფიციალური დისტრიბუტორი. მის მიერ შემოტანილი სიგარეტის ნაწილი (მხოლოდ ნაწილი!) უკვე ნაღდად „ფილიპ მორისისაა“. თ.ელიზბარაშვილი მონაწილეობას ღებულობს ე.წ. „ექსპერიმენტის“ შემუშავებაში, რომლის თანახმად ყოველ კოლოფ უცხოურ სიგარეტზე დგინდება ფიქსირებული გადასახადი 6 თეთრის ოდენობით. „ელიზის“ გაანგარიშება ასეთია – ეს 6 თეთრი მძიმედ დაარტყამს კონკურენტებს. თვითონ კი მოახდენს რა მხოლოდ უშუალოდ „ფილიპ მორისი“-სგან მიღებული საქონლის დეკლარირებას, შემოტანილი პროდუქციის ძირითად მასას ისევ კონტრაბანდულად გაუკეთებს რეალიზაციას.

ეს გაანგარიშება არ ამართლებს. ძირითადი კონკურენტები „ომეგა“ და „სამგორი“ პატიოსნად იხდიან ბაჟს და მშვიდად აგრძელებენ საქმიანობას. აი, ფოთის საბაჟოს უფროსს კი ხსნიან. ვაზიანის სამხედრო აეროდრომიც ვეღარ უზრუნველყოფს კონტრაბანდის შემოტანას, ალექსეევკაშიც ქართული საბაჟო ჩაჯდა. „ელიზს“ მარცხი მარცხზე მოსდის. იგი სახსრებს არ იშურებს „ომეგას“ საქონლის და თანხების მოძრაობის მარშრუტების შესასწავლად. მიდის სამრეწველო შპიონაჟის ყველაზე ბინძურ ხრიკებზე – სატელეფონო საუბრების საათობით მოსმენა. სპეციალური აპარატურით თვალთვალი, ბათუმის საბაჟოში ელიზბარაშვილის აგენტურა ცდილობს „ომეგას“ კონტრაბანდა მოიძიოს, მაგრამ ამაოდ. შეგროვილ ინფორმაციას წყალში ხომ არ გადაყრიდნენ. რადგან არ მოხერხდა „ომეგას“ მხილება კონტრაბანდისტობაში, იგივე ინფორმაცია ეხმარება „ელიზს“ წარმატებით დააყაჩაღოს კონკურენტი, ამოაგდოს იგი კალაპოტიდან და მისთვის წართმეული სახსრები საკუთარი ბიზნესის გამოსასწორებლად გამოიყენოს. აქაც ნაცარში უვარდება კოვზი. ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ხალხი დააკავეს. მათგან ნაძარცვი ამოიღეს. ყაჩაღები „ელიზის“ თანამშრომლები აღმოჩნდნენ, მათი სულისჩამდგმელი კი – თ.ელიზბარაშვილი, რომელსაც ბრალად ედება: იარაღის უკანონოდ შენახვა, ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზება, სატელეფონო საუბრების უკანონოდ მოსმენა. გარდა ამ ოფიციალურად წაყენებული ბრალდებებისა, ჟურნალისტური მოძიების საფუძველზე პრესის ფურცლებზე არაოფიციალურად ეჭვმიტანილია კონტრაბანდისტობაში, ქრთამის შეძლევის მცდელობაში, საბუთების გაყალბებაში, შემოსავლის დაფარვაში და ა.შ. ცხადია, რეპუტაცია, რომელიც შექმნა თ.ელიზბარაშვილს უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში, არამც და არამც არ აკმაყოფილებს კომპანია „ფილიპ მორისის“ ხელმძღვანელობას.

ასეთ კაცთან და ფირმასთან სათანამშრომლო რა გასჭირვებია მსოფლიო თამბაქოს წარმოების აღიარებულ გრანდს!

ვარაუდის დონეზე განსახილველია ერთი შესაძლო ვარიანტიც. შარშან ზაფხულს უგზოუკვლოდ გაქრა „ფილიპ მორისის“ მიერ ე.წ. inside, ანუ აშშ შიდა ბაზარზე გასაყიდად გამოშვებული და შემდეგ ტყვიის მაღალი შემცველობის გამო საავჭრო ქსელიდან კომპანიის მიერვე ამოღებული სიგარეტის დიდი პარტია – დაახლოებით 300 მილიონი კოლოფი.

კომპანიამ გამოთქვა ეჭვი, რომ ეს პარტია ხელში ჩაუვარდათ იატაკქვეშა მრეწველებს, რომლებიც ეწევიან წამყვანი კომპანიების ნაწარმის ფალსიფიკაციას და ერთობ დაბალ ფასად ასაღებენ განვითარებად ქვეყნებში. ამასთან „ფილიპ მორისმა“ მოუწოდა თავის დისტრიბუტორებს, თავი შეეკავებინათ საეჭვოდ ხელსაყრელი კომერციული წინადადებებისგან, რადგან დაბალ ფასს მიღმა შეიძლება ტოქსიკური სიკვდილი ყოფილიყო ჩასაფრებული. იქნებ „ელიზმა“ ყურად არ იღო მამა–მარჩენალის ეს გაფრთხილება და ამითაც გამოიწვია მისი გულისწყრომა?

ფაქტია, რომ ზემოთჩამოთვლილი მიზეზებიდან ერთიც კი სავსებით საკმარისია, რომ მსოფლიო მნიშვნელობის კომპანიამ უარი უთხრას თანამშრომლობაზე არაკეთილსინდისიერ პროვინციელ პარტნიორს.

თავდებით საპატიმროდან გამოშვება ამერიკული სამართლის პრეროგატივაა და არცერთი ამერიკელი მოსამართლე (ნუ მიწყენს მოსამართლე ხურციძე) ვერ შეძლებდა, დაყაჩაღებაში ეჭვმიტანილ, გადასახადების დამალვაში ცნობილ, იარაღის უკანონოდ მატარებელ, ტელეფონების საუბრების უკანონოდ მომსმენ და ყალბი დოკუმენტების შემდგენელ პიროვნების გამოშვებას სათავდებო თანხის რაოდენობის მიუხედავად. ამიტომაცაა, რომ „ფილიპ მორისის“ მესვეურები გაოცებას ვერ მალავენ ქართული სამართლის ზეიმით და მიუხედავად ამდენი „სიკეთისა“, შეუწყვიტეს ფირმა „ელიზს“ დისტრიბუტორობა.

ნ.კალანდაძე

# დემაგოგია

სააგენტო „იბერიამ“ გაავრცელა ინფორმაცია „ელიზის“ პრეზიდენტთან დაკავშირებით. ინფორმაციის წყაროა ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი. ღარიბაშვილის თქმით, „ელიზის“ პრეზიდენტი ავად არის, რის გამოც, წარმოიქმნა პაუზა „ელიზი“ – „ომეგას“ საქმეში. ადვოკატის თქმით, ამ საქმეში მალე ბრძოლის მეორე რაუნდი დაიწყება, რომელიც შალვა რჩეულიშვილის საბოლოო განადგურებით დასრულდება.

ერთი სიტყვით; მალე გამომჯობინდება ელიზბარაშვილი, რის შემდეგ ღარიბაშვილს ხელ–ფეხი ეხსნება, დრო ექნება და მეორე რაუნდს წამოიწყებს, ეს მეორე რაუნდი კი, მისი მტკიცებით, არც მეტი, არც ნაკლები, მომაკვდინებელი იქნება რჩეულიშვილისთვის.

საკითხავია, რატომ გადასწია ეს დამანგრეველი რაუნდი ღარიბაშვილმა „ელიზის“ პრეზიდენტის გამოჯანრთელებამდე? რამდენადაც ვიცით, ბატონი ქართლოსი ექიმი არ არის, რომ თავისი დაცვის ობიექტის მკურნალობით იყოს დაკავებული. მაშ რატომ კარგავს ძვირფას დროს და სასწრაფოდ არ დადებს ბეჭებზე მის უფროს კოლეგას?

ან ბოლოს და ბოლოს, თუ რჩეულიშვილის პიროვნება არ მოსდის ღარიბაშვილს თვალში, რა შუაშია აქ „ომეგა“ და „ელიზი“? ვთქვათ, ღარიბაშვილმა დაამტკიცა, რომ შალვა რჩეულიშვილი ყველაფერს ცუდს იმსახურებს, განა ეს იოტისოდენადაც კი ამართლებს „ელიზის“ საქციელს?

„ელიზმა“ პასუხი უნდა აგოს „ომეგას“ დაყაჩაღების და მისთვის წართმეული ფულის გამო. ეს პასუხისმგებლობა მას არც იმ შემთხვევაში მოეხსნება, თუ რჩეულიშვილი ანგელოზად გადაიქცა და თქვენ წარმოიდგინეთ, არც იმ შემთხვევაში, ხვალ რომ რჩეულიშვილმა ერთი კვარტალი გადაწვას და გადაბუგოს.

ყველა საქმეს თავისი ლოგიკა აქვს, ბატონი ქართლოსი რატომღაც ლოგიკის ელემენტარულ მოთხოვნებს უარყოფს. კითხვაზე, დააყაჩაღა თუ არა „ელიზმა“ „ომეგა“?

ღარიბაშვილი პასუხობს: რჩეულიშვილს დავაჭერინებო. კითხვაზე, არის თუ არა ყაჩაღობის ორგანიზატორი „ელიზის“ პრეზიდენტი? ღარიბაშვილი პასუხობს:

რჩეულიშვილი ცუდი კაციაო.

„შალვა, შენ ხარ, ბანდიტი“. ახლაც ბევრს ახსოვს ბატონ ქართლოსის ეს ფრთიანი ფრაზა, ტელეკომპანია „კავკასიის“ ეკრანიდან თქმული.

შალვას რომ ეპასუხა – კი ბატონო, მე ვარ ბანდიტი, მაგრამ ახლა ირჩევა საქმე იმის შესახებ, შენ ვისაც იცავ, არის თუ არა ბანდიტი, უპასუხე ამ კონკრეტულ კითხვასო, რას იტყოდა ბატონი ქართლოსი?

ძალიან გთხოვთ, ბატონო ქართლოს, საზოგადოებას გაეცით კონკრეტულ კითხვებზე კონკრეტული პასუხები. დემაგოგია საუკეთესო საშუალება არ უნდა იყოს არც ადვოკატის თვითდამკვიდრების გზაზე და არც სიმართლის გასარკვევად.

ვნახოთ, მეორე რაუნდში მაინც ინებებს თუ არა კონკრეტული ფირმის მიერ კონკრეტული ფირმის დაყაჩაღების ფაქტზე კონკრეტულ საუბარს ბატონი ღარიბაშვილი?

ვლადიმერ ნინუა

# ვის აძლევს ხელს სიგარეტის ბაჟის 8 თეთრამდე გაზრდა

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასეთი ნაბიჯით ორი კურდღლის მოკვლა შეიძლება: ჯერ ერთი – გაიზრდება ბიუჯეტში შესატანი, მეორეც – შემცირდება სიგარეტის მოხმარება და შესაბამისად საქართველოს მოსახლეობის მოწამვლა.

კარგადაა ცნობილი, რომ ყოვლად უვარგისი მეთოდი რაიმეს მოხმარების შესამცირებლად, მისი ფასის გაზრდა ან აკრძალვაა. ამას მსოფლიო პრაქტიკაც ადასტურებს. ასეთი ღონისძიება მხოლოდ კონტრაბანდისტებს წარმოშობს და იაფი სუროგატებით უზრუნველყოფს ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაგალითად ამერიკაში 20–იანი წლების მშრალმა კანონმა, სპირტიანი სასმელების აკრძალვამ, მაფიოზური სტრუქტურების არნახული აყვავება გამოიწვია, მეორე მაგალითად ფირმა „ელიზის“ მაფიოზურ სტრუქტურად გარდაქმნის მცდელობაა (კონკურენტების კრიმინალური მეთოდებით ჩამოშორება სურდა).

ახლა, რაც შეეხება ხაზინას. თუ სიგარეტის ბაჟმა 8 თეთრს მიაღწია, მაშინ ავტომატურად არარენტაბელური გახდება სიგარეტის ტრანზიტზე შემოტანა, რადგან რუსეთის ფედერაციისა და სხვა მეზობელი სახელმწიფოებისათვის არახელსაყრელი აღმოჩნდება საქართველოს გავლით სიგარეტის გატარება. ისევ დაიწყება კონტრაბანდული „საძრომების“ მოძიება და ხაზინის ინტერესები უგულვებელყოფილი აღმოჩნდება.

ერთადერთი, ვისაც შეიძლება აწყობდეს სიგარეტზე ბაჟის გაზრდა, არის ფირმა, რომელსაც დამუშავებული აქვს საიმედო კონტრაბანდული არხები და მათი დამცველი მექანიზმები სამთავრობო თუ სამართალდამცავი ორგანოების მხრივ. ასეთი ფირმა შესძლებს მთლიანად აიღოს თავის თავზე მთელი ტრანზიტის მოცულობა და მთელი მოგებაც გაანაწილოს საკუთარ ჯიბესა და მფარველებს შორის ისე, რომ ბიუჯეტში კაპიკიც კი არ შეიტანოს.

ზ.ლაბაძე

*P.S უკვე ცნობილი გახდა, რომ ფირმა „ელიზმა“ შესცვალა სიგარეტის შემოტანის თავისი „უმოკლესი“ გზა და სიგარეტის შემოტანა სხვა მიმართულებებით, თურქეთის გზით დაიწყო.*

# დაიწვა სკოლა

ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოში 29 ივნისს დილით დაიწვა სკოლა, რომელიც გასულ ოთხშაბათს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დაათვალიერა და სკოლის ხელმძღვანელობას შენობის შეკეთებას დაპირდა.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ თემურ მურღულიამ პრაიმ–ნიუსს აცნობა, სკოლას დილის ხუთ საათზე გაუჩნდა ხანძარი და მის ჩაქრობამდე მთლიანად დაიწვა შენობის ორი მესამედი.

25 ივნისს სოფელ კუმურდოში პრეზიდენტის სახელობის წყაროს გახსნის ცერემონიალზე ედუარდ შევარდნაძე 4 ათასი კაცით დასახლებულ სოფელს სკოლის ძველი შენობის შეკეთებას და, შემდეგ, ახლის აშენებას დაპირდა.

წინასწარი მონაცემებით, ხანძარი ელექტროგაყვანილობაში მომხდარი ავარიის შედეგია. შემთხვევის ადგილზე თბილისიდან გაემგზავრა ხანძრის გამომწვევი მიზეზების დამდგენი სპეციალური კომისია. (პრაიმ–ნიუსი)

## საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო არდადეგები დაიწყო

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის მუშაობის დასრულებასთან დაკავშირებით, გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, საგაზაფხულო სესიის განმავლობაში პარლამენტმა მიიღო 75 კანონი და სამი კოდექსი – სამოქალაქო, საზღვაო და საგადასახადო კოდექსები. პირველი და მეორე მოსმენით მიღებულია 14 კანონი.

პარლამენტის თავმჯდომარემ მიღებული ეკონომიკური კანონებიდან რამდენიმე გამოყო. კერძოდ, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ, ელექტროენერგეტიკის შესახებ და სხვა. ჟვანია თვლის, რომ საქართველოში სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. მნიშვნელოვანია ასევე განათლების ახალი კანონის მიღება.

კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ჯარების გაყვანის თაობაზე დადგენილების მიღების დროს, საპარლამენტო პროცედურები მძიმე იყო. სამომავლოდ, კანონების ტექსტებზე მუშაობისას უნდა გამოირიცხოს სპონტანური იდეები და შემთხვევითი შესწორებების ასახვა, რასაც ჯერჯერობით ჩვენი პარლამენტი ვერ ახერხებს. ეს კი პარლამენტის თავმჯდომარემ სერიოზულ ნაკლად ჩათვალა.

ზ.ჟვანიამ გააკეთა განცხადება, რომელიც ეხება პარლამენტის ახალ ინიციატივას – მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიული დაკავშირების თაობაზე. მისი აზრით, ეს ხელს შეუწყობს ერთიან ევროპულ სტრუქტურაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, საქართველოს პარლამენტი დინამიურად ახორციელებს მუშაობას კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნის თაობაზე.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, რომელიც უშიშროების მინისტრს ეხებოდა, ზ.ჟვანიამ განაცხადა, რომ ყველაფერს გამოძიება დაადგენს. „საერთოდ მიწისძვრები სახელმწიფო სტრუქტურებში სასურველი არ არის“ – განაცხადა ზ.ჟვანიამ. (იფრინდა)

## «ჯაბა იოსელიანის სასამართლო პროცესი საჯაროდ უნდა ჩატარდეს»

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, თითქოსდა შს მინისტრი კ.თარგამაძე წინააღმდეგია ჯაბა იოსელიანის პროცესის საჯაროდ ჩატარებისა, გუშინ შსს-ს პრეს-სამსახურმა გაავრცელა განცხადება. მასში ნათქვამია, რომ შს მინისტრი ყოველთვის უჭერდა და უჭერს მხარს 1995 წლის 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული პროცესის საჯაროდ ჩატარებას. თუმცა, მას მიაჩნია, რომ პროცესი უნდა გაიმართოს ისეთ შენობასა და დარბაზში (თუნდაც უზენაესი სასამართლოს შენობაში), სადაც გარანტირებული იქნება უსაფრთხოება. (იფრინდა)

• დღიურები

# რევაზ მიშველაძე
# ხუთი მრისხანე წელი

### ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე



**30/IV – 30/V, 94 წ.**

14 მაისს საქართველომ აფხაზეთთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ენგურზე შეიქმნა ოცდაათკილომეტრიანი „სამშვიდობო“ ზონა. ამ ზონაში რუსის ჯარი ჩადგება. ამავე ხელშეკრულებით საქართველომ დალის ხეობიდან დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს პარტიზანული შენაერთები, ე.ი. „აფხაზეთის სვანეთიც“ გაიყიდა, მტერს ჩავაბარეთ.

რა შეიძლებოდა მომხდარიყო ამაზე უარესი?

თურქეთთან (სხვა სახელმწიფოსთან) ჩვენ გვაქვს ასმეტრიანი საზღვარი, ხოლო ევროპის სახელმწიფოებს ერთმანეთთან საზღვარი საერთოდ არა აქვთ. ჩვენ კი, დამპყრობელმა რუსეთმა აფხაზეთთან (ჩვენს მიწასთან) ოცდაათკილომეტრიანი საზღვარი დაგვიდო. ესე იგი, მთლიანად და სავსებით მოგვწყვიტა აფხაზეთი.

და ამ დამამცირებელ, კაპიტულანტურ ხელშეკრულებას ხელს ჩვენივე ხელისუფლება უწერს რუსეთს.

საქართველოში მაისში ორი ზეიმი ჩატარდა: 23–25 მაისს უნივერსიტეტის იუბილე, 26 მაისს – დამოუკიდებლობის 76 წლისთავი.

თუ უნივერსიტეტის იუბილეს, როგორც ცოდნის ტაძრის, ეროვნული ინტელიგენციის აღმზრდელი დაწესებულების ზეიმს, კიდევ აქვს რაღაც გამართლება, 26 მაისს თავისუფლების მოედანზე დამარცხებული ჯარის პარადის გამართვა ყოვლად გაუმართლებელია.

ტრიბუნაზე კომუნისტურად, ყელმოღერებით მდგარი ბელადები – გამარჯვებულის იერით მდგარი შევარდნაძე და გოგუაძე დამშეულ, კუპონით გაუბედურებულ ხალხს ხელისაწევით ესალმებოდნენ.

რას ვზეიმობთ? დამოუკიდებლობის დაკარგვას? 30 ათასი ბიჭის წართმეულ სიცოცხლეს? 300 ათასი უსახლკარო ქართველის სიბეჩავეს თუ წაგლეჯილ 25 ათას კვადრატულ კილომეტრს?

სიბრაზისაგან გული კინაღამ გამისკდა, ტელევიზორში პარადს რომ ვუცქეროდი.

25 მაისს საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოხსენებით გამოვედი. ვისაუბრე იმაზე, თუ როგორ „სძულდათ საუკეთესო ქართველ მწერლებს დამპყრობელი რუსეთის იმპერია. ბოლოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მეცნიერებს შენიშვნის სახით მოვახსენე – რატომ გაიმეორეს თქვენმა ქვეყნებმა 1921 წლის შეცდომა, რატომ მოხდა, რომ დასავლეთმა და ამერიკამ ერთი საპროტესტო ნოტაც კი არ გაუგზავნეს რუსეთს, რომელმაც ასე უმოწყალოდ ფეხქვეშ გათელა-მეთქი საქართველო 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში.

თავები ჩაქინდრეს.

ერთმა „ფხიზელმა“ ლიტერატორმა პროტესტი გამოთქვა ჩემი მოხსენების პოლიტიკური მიმართულების გამო.

შესვენების შემდეგ შევაჩერე დერეფანში- მე მამაშენს – ელიზბარ უბილავას, და შენს მეუღლეს, ნიკა ანდრონიკაშვილს, პატივს ვცემ და როგორ ვნანობ, რომ ასეთი შეზღუდული გონების „ლიტერატურათმცოდნე“ ყოფილხარ-მეთქი.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-64.

**1/VI – 22/VI, 94 წ.**

მამუკა წიკლაურმა და მე მუხათწყაროში ღარიბულ სუფრასთან შუაღამემდე ვისაუბრეთ.

თანდათანობით მომწონს ზვიადისტები.

მათი ჯიუტი ერთგულება დასახული მიზნისადმი. მათი შეუპოვრობა ერის მოღალატეებისადმი, მათი დაუმორჩილებლობა რუსული ალიკაპის მიმართ.

თვით ზვიადი ავადმყოფი კაცი იყო, თუ დავეთანხმებოდი, მხოლოდ ერთ რამეში – საქართველოს დამოუკიდებლობა სურდა.

სხვა მხრივ სამარცხვინო ხელისუფლება გახლდათ. არაინტელიგენტი, დაუნდობელი, ეჭვიანი, პატივმოყვარე...

აცხონოს ღმერთმა, თავიდანვე რომ სწორი პოზიცია დაეჭირა დასავლეთის მიმართ, ალბათ, რუსეთი ასე უტიფრად და ულმობლად ვერ გაბედავდა ჩვენს დასჯას.

აჩიკოზე მშვენიერი ლექსები დაწერეს ჯანო ჯანელიძემ და აკაკი გეწაძემ.

სკოლამ (52-ე) და ინსტიტუტმა (აჩიკო ფიზკულტურის ინსტიტუტშიც სწავლობდა) ხსოვნის საღამოები გაუმართეს ჩემს გმირ შვილს.

ლევან სანიკიძე, შოთა ნიშნიანიძე და მე ვესწრებოდით. ბევრი ვიტირე.

უჭირს საქართველოს.

მატყუარა ხელისუფლება ხელს არ ანძრევს, ქვეყანა სიდუხჭირისგან რომ იხსნას. ოთხ ინსტიტუტში ვკითხულობ ლექციებს, რომ ორი კაპიკი ვიშოვო და ოჯახი გამოვკვებო.

ჩვენი თავი ჯანდაბას, ოჯახის ახალ წევრს, შიო მიშველაძეს (5 წლისაა), რომ მოშივდეს, სირცხვილით დავიწვები.

დიდი იმედით შეჰყურებს თავის „მწერალ ბაბუას“ შიო.

რუსეთი კვლავ დაგვეცინის. ენგურთან თავის სახლში დასაბრუნებელი ქართველების გადარჩევა დაიწყეს.

აფსუს!

**23/VI – 20/VII, 94 წ.**

19 ივლისს მორის ფოცხიშვილის გარდაცვალების წლისთავი იყო.

ახალგაზრდა მსახიობებმა რუსთაველის თეატრში მორისის პოეზიის საღამო გამართეს.

შოთა ნიშნიანიძე და მე ერთად წავედით.

დუღდა და მქუხარებდა სცენაზე მორისის პოეზია.

ბევრი ლექსი, თითქოსდა, დღევანდელი დღისთვის – დღევანდელ დღეზე იყო დაწერილი.

ერთ ლექსში ბრალს სდებდა ერის მოღალატე ქართველს, რომელმაც ისევ დათვს ჩაუგდო ხელში საქართველო.

პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო.

მაყურებელმაც იგრძნო ეს.

დარბაზში ტაშმა იგრიალა. ფეხზე წამომდგარნი უკრავდნენ ტაშს მორისს და მსახიობებს.

ერთი კაცი იჯდა მხოლოდ თავჩაქინდრული.

შემეცოდა.

**20/VII – 20/VIII, 94 წ.**

იწურება ეს ზაფხულიც.

კიდევ ერთი მწუხარე ზაფხული საქართველოსათვის.

საქართველოს მთავარი პრობლემა ისევ გადაუწყვეტელია.

„სამშვიდობო ძალებმა“ კიდევ ერთხელ მწარედ მოგვატყუეს.

უფრო სწორად, მოატყუეს შევარდნაძე, მე თავიდანვე ვიცოდი, რა სამშვიდობო ძალებს გამოგვიგზავნიდა რუსეთი.

აღარა აქვს საზღვარი საქართველოს დამცირებას.

რუსის ჯარისკაცებმა მავთულხლართები გაავლეს ზუგდიდის გასწვრივ. აფხაზეთი საბოლოოდ მოსწყვიტეს საქართველოს.

19 აგვისტოს ათი ათასამდე ქალ-ბავშვი მშვიდობიანი მსვლელობით აპირებდა გალში, თავის სახლებში დაბრუნებას.

რუსმა ჯარისკაცებმა ისინი კონდახებისა და პანღურის ცემით უკან გამოაბრუნეს.

რა საშინელებაა ულონობისა და უილაჯობის განცდა.

ახლახანს ტვინში სისხლი ჩაექცა საქართველოს უბედურების გადამკიდეს – გრიგოლ აბაშიძეს.

სიონიდან გამოვასვენეთ.

რატომ მწერალთა კავშირიდან არ უნდა გამოვასვენოთ-მეთქი, ამით ხომ მწერალთა კავშირის მნიშვნელობა მცირდება, რომელი ეპისკოპოსი ან ბლაღოჩინი იყო-მეთქი გრიგოლ აბაშიძე, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში ჩემთვის ჩავილაპარაკე, იქ იმ დროს ერთი სუკის აგენტი მწერალი იჯდა, და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გრიგოლ აბაშიძის ნეკროლოგისათვის ჩემი გვარი არ მიეწერათ. არა და ბ-ნი გრიგოლი უსაზღვროდ მიყვარს და კარგი მეგობრებიც გახლდით.

მაგრამ ეს არაფერი.

მე საქართველოს დარდი მკლავს. რა ბედნიერია ჩემი აჩიკო, რომ რუსის მიერ (და რუსის დაქირავებულ ქართველთა მიერ) საქართველოს განადგურებას ვერ მოესწრო.

იმპერიის აღორძინება იმაშიც ჩანს, რომ თითქმის ყველა თანამდებობაზე (რაიონებშიც გამგებლად) ყოფილი პარტიული ფუნქციონერები დასვეს.

რუხთან, ზუგდიდთან სხედან ლტოლვილები, მოშიმშილეები და მოთქვამენ – დააბრუნონ თავიანთ სახლებში.

აფხაზეთის იარაღით დაბრუნების ილუზია გაქრა. ახლა იქ რუსის მრისხანე ჯარი დგას საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწვეული და ხელდასმული.

ბოლომდე გაიყიდა საქართველო.

ახლა, სანამ ეროვნული ძარღვი კიდევ ფეთქავს, სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს პარლამენტი და სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს 14 მაისის ხელშეკრულება, გაყვანილ უნდა იქნან რუსის „სამშვიდობო ძალები“ საქართველოს ტერიტორიიდან.

რუსეთის ანექსიას ჩვენ მაინც ნუ დავეთანხმებით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრეს-ცენტრის განცხადება

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა და პროკურატურა, გუშინ გავრცელებულ განცხადებაში დედაქალაქის მოსახლეობას აცნობებს, რომ ძალოვან სტრუქტურებში მიმდინარე რეორგანიზაციის ფონზე, სამართალდამცველთა მხრიდან სამსახურეობრივი უფლებების გადამეტების შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად და ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებათა განმტკიცების მიზნით, კრიტიკულ სიტუაციებში შეუძლიათ დაუკავშირდნენ შემდეგ საკონტაქტო ტელეფონებზე:

ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლობის ინსპექცია – 93-45-31;

პროკურატურა – 95-74-89; 95-92-42;

სამორიგეო – 98-54-74

## უშიშროების მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, საქართველოს უშიშროების მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია, გულის იშემიური დაავადების გამწვავების გამო ჰოსპიტალიზირებულია.

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ განაცხადა, უშიშროების მინისტრი მოთავსებულია ერთ-ერთ კერძო კლინიკაში დიაგნოზით – არტერიული ჰიპერტენზია (გულის ქრონიკული იშემიური დაავადების გამწვავება). ა.ჯორბენაძის თქმით, მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. მას უტარდება მკურნალობა, უახლოეს ხანებში შ.კვირაია მწყობრში ჩადგება (იფრინდა)

## ქართველი სამხედრო მედიკოსები ბუნდესვერში მიემგზავრებიან

1 ივლისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თბილისის, ქუთაისის, ახალციხისა და ფოთის სამხედრო ჰოსპიტლების 8 ექიმი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გერმანიაში გაემგზავრება. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრში აცნობეს.

თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამედიცინო სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკის ანტონ ჭანტურიას თქმით, ქართველი სამხედრო ექიმები ბუნდესვერის ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში და სხვა უმაღლეს სამხედრო-სამედიცინო კლინიკებში 9 თვიან პრაქტიკულ კურსებს გაივლიან ტრავმატოლოგიაში, ქირურგიაში, ანესთეზიოლოგიაში, კარდიოლოგიაში და სხვ. ქართველ სამხედრო მედიკოსთა დახელოვნების საფასურს მთლიანად ბუნდესვერი გადაიხდის. (იფრინდა)

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

# ჯუმბერ ძიძავას დაუვიწყარი ხუმრობები

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



### ჭეშმარიტი მანდილოსანი

ჩვენმა მეგობარმა, ახალკურსდამთავრებულმა, ნათელა ხურცილავამ, ინსტიტუტში, ფილოსოფიის კათედრაზე ლაბორანტად დაიწყო მუშაობა. ეს მაშინ დიდი სიკეთე იყო. ნათელა განათლებული, შრომისმოყვარე, თავმდაბალი და ზრდილობიანი გოგო იყო. ინსტიტუტშიც მალე მოიხვეჭა კეთილი სახელი. მათი კათედრის გამგე იმ ქალთაგანი იყო, თავის სიკეკლუცეს და კდემამოსილებას სიცოცხლის ბოლომდე რომ ინარჩუნებენ. დგანან ორივე გაჩერებასთან. ტროლეიბუსიდან ჯუმბერი ჩამოვიდა. სიყვარულით მოიკითხა ნათელა მთელი თავისი ოჯახით. ნათელამ გააცნო კათედრის გამგე. ჯუმბერმა მოწიწებით ხელზე აკოცა.

– თქვენ გაიხარეთ ქალბატონო, დიდხანს იცოცხლეთ ასე ლამაზად. თქვენნაირ ხალხზეა ჯერ კიდევ საქართველო დაყრდნობილი, თქვენი ოჯახიშვილობით სულდგმულობს. ყველაფერი სიკეთე თქვენგან მოდის, ზრდილობა, განათლება...

მერე ისევ ნათელას მოუბრუნდა: – როგორა ხართ, დები როგორ არიან?! დედა... მამა... არც კათედრის გამგეს ივიწყებდა – თქვენი მაგალითით ვიზრდებით, უთქვენოდ არარაობა ვართო...

ნათელას ერთი სული აქვს, თვითონაც ჰკითხოს რამე ჯუმბერს და მოახერხა:

– თქვენ როგორ ბრძანდებით, ბატონო ჯუმბერ, თეატრში რა ამბავია?! – და უცებ:

– ჩვენი დირექტორის დედა და მამა, ის გათახსირებული, ის უნამუსო, იმის... აღარ დაადგა ჯუმბერას გინებას საშველი. ჯუმბერი იმხანად თეატრიდან დაითხოვეს.

„გასკდი მიწავ და ჩამიტანე“ – შერცხვა, გაწბილდა ნათელა. ბოლოს ჯუმბერი მორჩა ბილწსიტყვაობას. კათედრის გამგეს მოუბრუნდა:

– კეთილად ბრძანდებოდეთ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო. – ხელზე ეამბორა – ჩვენ თქვენს ზრდილობაზე და ინტელექტზე ვიზრდებით. თორემ რა ეშველებოდა საქართველოს?!

### ჯუმბერის ანთროპოლოგია

ახლადშეღერებული ბიჭები ვიყავით. ჩვენ ამხანაგს ერთი, მართლაც ლამაზი გოგონა უყვარდა. ცოლად აპირებდა მოყვანას. მშობლებს, რატომღაც, არ უნდოდათ და ამხანაგებს გვთხოვეს, გვერჩია გადაეფიქრა. არაფერი გამოგვივიდა. ჯუმბერმა თქვა:

– ეგ საქმე მე მომანდეთ, მშობლებს, ალბათ, აქვთ უარის მიზეზი.

ოჯახმა მიგვიწვია მეგობრები. საპატარძლო



მართლაც გამოირჩეოდა ათიოდე გოგონაში, რომელიც ვაჟის მშობლებს შეერჩიათ მის დასაჩრდილად.

ზაფხული იყო – თხელი, ჩითის კაბა სრულად ამჟღავნებდა მისი მოქნილი ტანის უნაკლობას. სახე დახატულს მიუგავდა. გოგონა გრძნობდა თავის უპირატესობას და თავდაჯერილი სითამამე უფრო თვალსაჩინოს ხდიდა.

რატომღაც საპატარძლომ არ ინება დიდხანს დარჩენა. სხვა გოგონებიც მალე მიყვნენ. გაცხარდა კამათი, მაგრამ სათქმელი არაფერი გვქონდა. სიცრუე ვერ ძლევდა ჭეშმარიტებას. ჩვენმა ძმაკაცმა ქვა ააგდო და შეუშვირა თავი, სწორედ ეგ მინდა ცოლადო.

ჯუმბერი ზის და ხმას არ იღებს. არადა პურ-მარილი მასზეა დამოკიდებული. მისი იმედი გვაქვს, მან უნდა თქვას სეფე სიტყვა:

– მშვენიერი გოგონაა, შველივით მოხდენილი, ლამაზი მოძრაობა და ტან-ფეხი აქვს. დახატული თვალ-წარბი, სათნო გამოხედვა...

– დაველუპეთ – ჩამჩურჩულა გვერდში მჯდომმა ამხანაგმა. ჯუმბერმა კი განაგრძო:

– აი, ცხვირი კი არ მომწონს. მართალია, სწორი, ლამაზი ცხვირი აქვს, მაგრამ ნესტოები აქვს ზევით აწეული. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, საცაა ცხვირიდან ტვინი გამოუჩნდებაო. ანთროპოლოგიურად ასეთ ქალებს ლალი ცხოვრების, თითქმის უზნეობისკენ აქვთ მიდრეკილება. ანთროპოლოგია კი, ალბათ, იცით, მათემატიკაზე ზუსტი მეცნიერებაა. არასოდეს არ ცდება.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჯერ ახლა რა ვიცით ანთროპოლოგიის და მაშინ ზოგიერთს თუ ჰქონდა ყური მოკრული.

– ისე, რა უჭირს, ბატონებო, ახალგაზრდა კაცია, გაერთოს ცოტას, – დაამთავრა ჯუმბერმა თავისი სიტყვა.

აღტაცებულმა მშობლებმა ზღაპრული პურმარილი გამართეს – ახლა, კი ვხვდები, რა ცოდვა ჩავიდინეთ, მაგრამ გამოსწორება აღარაფრით შეიძლება.

### შეყვარებული ჯუმბერი

ჯუმბერს თეატრალურ ინსტიტუტამდე საკმაოდ რთული გზა ჰქონდა გავლილი. 37 წელს რეპრესირებული ოჯახის შვილს გზა-კვალი აერია. ციხეშიც მოხვდა... მოკლედ, საკმაოდ „გამოსულ“ ბიჭად ითვლებოდა მერე ჩადგა კალ-



აპოტში. სწავლა დაიწყო თეატრალურ ინსტიტუტში. რუსთაველის თეატრის მსახიობი გახდა...

მსახიობ ჯუმბერს ერთი კაი ოჯახიშვილი გოგონა მოსწონდა. ალბათ, ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა, თუ არა ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა.

ჯუმბერმა ქალის მშობლებს სთხოვა, კინოში გაგვიშვითო (მაშინ ასეთი წესი იყო). მშობლები დათანხმდნენ. ჯუმბერი სულ შაქრად იღვრებოდა საპატარძლოს ოჯახსა და ნათესავებში. ცდილობდა ციხის „ჟარგონი“ არ წამოსცდენოდა. საქმე სასიკეთოდ მიდიოდა.

შევიდა ქალ-ვაჟი კინოდარბაზში. მათ ადგილზე ვიღაც მოძველბიჭო ახალგაზრდები ისხდნენ. ჯუმბერმა სთხოვა: – ჩვენი ადგილებია და დაგვითმეთო.

– რომ არ დაგითმოთ, რას იზამ?! – მიიღო თავხედური პასუხი.

– რას ვიზამ და დედას... ამოანთხია ჯუმბერმა ციხის ჟარგონი. გაყარა ავყიები დარბაზიდან, მაგრამ როცა საცოლე გაახსენდა, ველარსად ნახა. გოგონა ჩუმად გასცლოდა „ხელიდან“ ჯუმბერს. აღარც გაკარებია.

ის გოგო რომ ჩემი ცოლი გამხდარიყო, სულ სხვანაირად წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება – იტყოდა ხოლმე გულდაწყვეტით ჯუმბერი.

### ჯუმბერი მორალისტი

შეზარხოშებული ჯუმბერი შინ ბრუნდებოდა. გვიანი იყო. ტროლეიბუსში ავიდა. ბილეთი აიღო. შენიშნა, ხალხი რაღაც დაზაფრული ზის. ბოლო სკამზე ახალგაზრდა გოგო-ბიჭი ისეთ ყოფაში არიან, თითქოს მათ მეტი იქ არავინ ყოფილიყოს. ხალხს ხმის ამოღება ვერ გაუბედია.

– არ გრცხვენიათ?! – დაადგა თავზე ჯუმბერი – ან დედა არ გყავს, ან და, ან მეზობელი?! შეიძლება ასეთი აღვირახსნილობა?! ამით ხომ მთელ თბილისქალაქს, სრულიად საქართველოს შეურაცხყოფთ?! – ხალხმა შვებით ამოისუნთქა. ქალ-ვაჟი დაოკდა და...

– შენ თუ გგონია, ჩვენ კაცობა არა გვაქვს?! არ შეგვიძლია ქალი დავიმორჩილოთ და... მოხსნა ნასვამმა ჯუმბერმა, ისეთი მყრალი სიტყვა და აზრი დაახვავა, ხალხი უარესად დაზაფრა.

### ორკაპიკიანი ბილეთისათვის

ჯუმბერი შეყვარებულ გოგონასთან ერთად ტროლეიბუსში ავიდა. გოგონას შორეული ნაცნობი შეხვდა. ბევრი ხალხი იყო. ნაცნობმა ბილეთი აუღო. ხალხის ტალღამ ჯუმბერის ასვლამდე ორივე წინ გაიტაცა. ჯუმბერი ჩამორჩა. გოგონასთან მისვლა შეუძლებელი შეიქნა. ეს ატროლიავებული ახალგაზრდა კი ძალიან თავაშვებულად ექცეოდა გოგონას. თან სახალხოდ თავს იწონებდა.

– ყმაწვილო, ეგ გოგო სიცოცხლეს მირჩევნია და მაგ ორკაპიკიანი ბილეთის გულისთვის ნუ გამიუპატიურებ – გასძახა ჯუმბერმა.

ახალგაზრდა გოგონასაც ჩამოცილდა და ტროლეიბუსიდანაც ჩავიდა.

### ყანის ყარაული

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებულია. ჭირს. ვისაც სოფელი არა აქვს, იველისაგვისტოსაც თბილისში ატარებს. ჯუმბერი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია. მზის დაბეგვილი ძლივს მილასლასებს შინისაკენ. საგზურზე ოცნებობს.

– შვილო, ჯუმბერ! – მოესმა უცებ. ჰხედავს, მისი ლექტორი, ბატონი აკაკი უხმობს. მორჩილად მიირბინა.

– არის ვინმე ქალაქში დარჩენილი ჩვენი ბიჭებიდან – ჯუმბერს ეგონა აუხდა ნანატრი.

– კი. გოგი... – ბატონმა აკაკიმ ანიშნა საკმარისიაო.

– ხვალ დილით, 8 საათზე, ორივე მოდით ჩემთან... – ლექტორი წავიდა.

– დილით ორივე ადრიანად მიადგა ლექტორს შინ. დასასვენებელი საგზურების იმედი აქვთ.

– ბიჭებო, ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

– ბრძანეთ, ბატონო აკაკი.



– შვილებო, ნაკვეთი მაქვს. სიმინდი მითესია. მპარავენ. თქვენ უნდა მიშველოთ.

რაღას იზამდნენ სტუდენტები. დადგნენ ყანის ყარაულში. შუადღისას „სალდათები“ შემოცვივდნენ. მოამტვრიეს ტაროები ისე, რომ უფროსს არ დაენახა და ისევ გაცვივდნენ. ჯუმბერი და გოგი ძაღლადაც არ ჩაუგდიათ.

წასვლისას ჯუმბერმაც მოამტვრია სიმინდი. მაისური გაიხადა. გაავსო. ორი ტარო ველარ ჩატია და გოგის მიაჩეჩა ძალით. გოგის უკვე ორი შვილი ჰყავდა.

– არ გიწყენს ღმერთი, ბავშვებს აჭამე – თან ჭკუა დაარიგა.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ლექტორმა რამდენჯერმე დაათვალიერა ნაკვეთი.

– რაც თქვენ დაიწყეთ ყარაულობა, უფრო მეტი აკლდება. ნუღარ მოხვალთ მეტი – უთხრა დაეჭვებულმა.

დაიწყო სწავლა. რასაკვირველია, ჯუმბერმა ეს „საიდუმლო“ ყველას გაანდო. ხმამ ლექტორამდეც მიაღწია. ბატონმა აკაკიმ ჯუმბერს უსაყვედურა უკეთური საქციელისთვის.

– რას ბრძანებთ, ბატონო აკაკი, მაგას როგორ ვიკადრებდი... და ფიცით გაიწყვიტა ყველაფერი. მისი სიტყვა ისე დამაჯერებლად ჟღერდა, ლექტორმაც დაუჯერა. ჯუმბერმა მოწმედ გოგი დაასახელა. როცა ლექტორს გოგიმ თავის სიცოცხლეში პირველი ტყუილი უთხრა, ჯუმბერს სიმინდი არ მოუპარავსო, ლექტორმა ანიშნა გასულიყვნენ. ჯუმბერი წინ წამოდგა და „მიამიტად“ თქვა:

– გოგის კი მიჰქონდა ცოტ-ცოტა, ხომ იცით, ბავშვების პატრონია?..

გოგის ელდა ეცა. დაიწყო სიმართლის მოყოლა, ვიღამ დაუჯერა?!

გოგიმ იმ სემესტრში ჩათვლა ვერ მიიღო.

### შარვლები ბოქლომზე

ჯუმბერის თაობის მსახიობები: დოდო აბაშიძე, გივი თოხაძე, ნოდარ ჩხეიძე (პატარა ჩხირი) ახალი მიღებულები იყვნენ თეატრის დასში. გოგონები გაიცნეს და პაემანი დაუნიშნეს. შეხვედრის დღეს სპექტაკლი „ყაჩაღები“ დაემთხვა. სპექტაკლში ორმოცი ყაჩაღი სულ სცენაზეა, მაგრამ არც ერთს რეპლიკაც კი არ აქვს. დო-



დომ და გივიმ აკაკი ხორავას სთხოვეს განთავისუფლება. ხორავა ერთდროულად ფრანც მორსაც თამაშობდა, კალ მორსაც, მგონი თეატრის დირექტორიც ის იყო. მან ახალგაზრდები გაანთავისუფლა, ოღონდ შუა სპექტაკლიდან უნდა გასულიყვნენ შეუმჩნევლად. ჯუმბერს და ნოდარს კი უარი უთხრა, ცარიელ სცენაზე ხომ არ ვითამაშებო?!

დაიბოღმნენ ჯუმბერი და ნოდარი.

მსახიობთა გასახდელში დოდოს და გივის თავიანთი შარვლები ქამრის გასაყრელებით ბოქლომზე აკინძულ-გადაბმული დახვდათ.

სპექტაკლი რომ დამთავრდა, დოდო და გივი ჯერ ისევ ბოქლომს ხერხავდნენ.

### რეზინის თითი

გივის ერთი იმ გოგონათაგანი შემთხვევით შეხვედრია და ისევ პაემანი დაუნიშნავს. თეატრში დაუტრაბახებია, მაშინ რომ გოგონებს ავცდით, დღეს პირადი პაემანი მაქვსო.

ჯუმბერს და ნოდარს სამედიცინო რეზინის თათმანის ერთი თითი ოდნავ გაუბერიათ და გივის შარვლის უბეზე გარედან ძაფით მოუკერებიათ. გოგონა გივის თეატრის კართან დახვედრია. ასე იარეს კინო „სპარტაკამდე“. გივის რაღაც ეხამუშება. ფეხებში რაღაც ედება. გოგონას შეუმჩნევლად დაიხედა და რას ხედავს...

იქვე „სპარტაკის“ სალაროებთან შევარდა თავზარდაცემული. ხელი წაავლო. მიხვდა, მოიწყვიტა, მაგრამ გოგონასთან ველარ დაბრუნდა.

ჯუმბერმა ბიულეტენი აიღო და კარგა ხანს თეატრში აღარ გამოჩენილა. გივი „მოსაკლავად“ დასდევდა.

### სტალინის სადღეგრძელო

ის დღეებია, სტალინის ჯანმრთელობის ბიულეტენი ცხადდებოდა რადიოთი. დაგვაიმედეს, იქნებ უკეთ შეიქნესო. ხალხი დაიშალა. ჩვენ ძმაკაცები, „გემოში“ ჩავედით. გივი ძულიაშვილმა ცრემლიანი თვალებით ბელადის ჯანმრთელობის სადღეგრძელო შესვა. ყველამ უხმოდ დავლიეთ. ჯუმბერმა თქვა:

– მალე ნახავთ, მაგის დედის გინებით გასკდება ხალხი – ჩვენ ავიმრიზეთ, ავიყალყენით.

– შენ ჩემო კიმი, იმდენი ჭკუა კი გაქვს, ამ სისხლისმსმელის გულისთვის მე არ მაწყენინებ, – მომაგება ჯუმბერმა.

მაინც ყველამ მიეატოვეთ სუფრა.

დღეს?!

კიმი ალიაშვილი

ქვემოთმოყვანილი სტრიქონებისათვის სერიოზული შესავლის წამძღვარება მქონდა გადაწყვეტილი. შემდეგ ვიფიქრე და გადავწყვიტე, საკმარისი იქნება, თუ ორიოდე თეზისით შემოვიფარგლები.

თეზისი პირველი. მეცნიერული სოციალიზმის „გრანდიოზულმა წარმატებებმა" იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენთან შეიქმნა ადამიანის ახალი ფსიქოტიპი: homo criminalis – დამნაშავე ადამიანი.

თეზისი მეორე. ცდებიან ისინი, ვინც თვლის, რომ დასავლეთს საფრთხე ემუქრება რუსული ორგანიზებული დამნაშავეთა სამყაროს მხრიდან. არაფერი ამის მსგავსი. დასავლეთის ცივილიზაციისათვის საფრთხეს წარმოადგენს იქ მოხვედრილი ყოველი ჩვენებური. უსაფუძვლოდ არ შექმნილა ცნობილი იგავი: „თეთრები გადასახლდნენ ბრაიტონ ბიჩიდან, როდესაც იქ ზანგები დასახლდნენ. ზანგებმა ძლივს გაასწრეს პირველ რუს ემიგრანტებს".

ყოველივე ეს – დაწერილებით...

# როგორ ცხოვრობდა ზეკ-ი გერმანიის ციხეში



* * *

მთელი ჩემი ცხოვრება ადამიანებთან გამუდმებული ურთიერთობაა. რაც არ უნდა იყოს, მე ხომ КГБ-ს ყოფილი აგენტი ვარ, იქ კი ამ საქმეს კარგად გვასწავლიდნენ. ახლახანს ერთ საინტერესო კამპანიაში მოვხვდი და ვესაუბრე... მე ამ ადამიანს დავარქმევდი ტიპს. თუმცა ჟარგონის ენაზე მისთვის შეიძლება „გორსალა" გვეწოდებინა ხისთავიანობის გამო, ოფიციალურად – საერთაშორისო დამნაშავე. ჩვენებური ობივატელი ასეთ ტიპებს „ჩალიჩებს" ეძახის. ისე კი მას იგორი ჰქვია.

გვარი კი მართლაც გერმანული აქვს. ამ გარემოებამ მას საშუალება მისცა, 1990 წელს გერმანიაში წასულიყო ემიგრანტად, სხვა სიტყვებით, ფირმაში გაასწრო. ბედმა გაუღიმა. ჰოლანდიაში მოხვდა, ჯადოსნურ და საოცარ ქვეყანაში, არა მხოლოდ ნარკომანებისათვის.

მანამდე მისი ცხოვრება ჩვეულებრივ დინებას მიჰყვებოდა. ჯარის შემდეგ „ჰოპ-სტოპისათვის" (მეცნიერულად – ყაჩაღობისათვის) ზონაში ამოჰყო თავი. ზონაში, როგორც იტყვიან, ბუგორს რქები მოუგრიხა. რისთვისაც მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გაამწესეს რვა წლით. გამოვიდა. წავიდა საზღვარგარეთ. თანაც საელჩოს დოყლაპიებსაც აჭამა. განაცხადა, რომ ზონაში პროტესტის ფიზიკურ ფორმებს მიმართავდა ტოტალიტარული რეჟიმის საწინააღმდეგოდ. ნელსონ მანდელა რაღა! ვერც შევდავები! ასე გადაიქცა ფრაერი პატიმართა უფლებებისათვის მებრძოლად. მოკლედ, სიმართლითა თუ სიცრუით, ვირი ნიდერლანდს წავიდა.

* * *

იქ მას გამოუყვეს შემწეობა და დაეხმარნენ სამუშაოზე მოწყობაში. პიკაპის მძღოლი. პროდუქტების დარიგება. დიდად აღფრთოვანებული არ დარჩენილა. ისე, ცოტა ხანს კი ითმინა, ზუსტად მანამდე, სანამ არ აღმოაჩინა, რომ რძესა და სანოვაგეს დამკვეთის კარებთან ტოვებდნენ. უმეთვალყურეოდ! დაიწყო ჩალიჩი ადრე დილიდანვე იწყებდა შემოვლას და ბურჟუების თოხლის ექსპროპრიაციას ახდენდა. ნადავლს ჯიხურებში აბარებდა, სადაც ფერადკანიანები ვაჭრობდნენ.

ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ თვითონაც გაბურჟუევდა. ძაღლი გაიჩინა, ძაღლს კი ჭამა უნდოდა. თეორიულად აქ პრობლემა არ არსებობდა. თავისი პიკაპით ხომ სწორედ ხორცის პროდუქტები დაჰქონდა. მისი მსჯელობა მარტივი იყო: „რომელი იდიოტი იყიდის მაღაზიაში ძაღლების საკვებს, როდესაც ყველაფერი ცხვირწინ გიწყვია? გაალებ საბარგულს და... ძაღლი მაძღარია". ორჯერ კოკა მთელი დარჩა. მესამედ კი უთხრეს, რომ იგი ქურდია და პატიმართა უფლებებისათვის მებრძოლი გააგდეს სამუშაოდან.

აი, აქ იგი შეეჯახა ყოვლისმომცველი კომპიუტერიზაციის შედეგებს, სადაც არ უნდა მისულიყო, ყველგან კომპიუტერი ციმციმებდა მოგვიანებით ამ აპარატს უბრალო სახელი დაარქვა – კომპუტერი), ხოლო დისპლეიზე მისი გვარი ერთი და იმავე „ზედმეტსახელით" გამოდიოდა – ქურდი. საუბარი მეპატრონესთან ამ ადგილზე წყდებოდა.

* * *

მიაფურთხა კურთხეულ, მაგრამ თავისი კომპიუტერიზაციით ჩამპალ ჰოლანდიას და გადაბარგდა თავის გერმანიაში იქ მართლაც ჰყავდა ნათესავები, დიდ ქალაქ ხმბურგში (ასე თვითონ ეძახდა: ჰამბურგი კი არა, ხამბურგი). გერმანიაში მოღვაწეობა დაიწყო ორ თურქთან საქმის გარჩევით. თურქი თურქია, თუნდაც ორნი იყვნენ.

ჩვენს ზეკს ტელეგრეიკასაც ვერ გახდიან. ჩვენთან ამგვარ წვრილმანს ყურადღებას არავინ მიაქცევდა. მაგრამ ეს გერმანიაა. იქაურმა პოლიციამ იცის, ვის ფულზე ცხოვრობს. ამიტომაც ყველა მიჩვეულია კანონის დაცვას, კანცლერიდან დაწყებული, ძაღლით დამთავრებული. გამოუწერეს ოცდაათი დღის პატიმრობა და ჯარიმა ფიზიკური დისკრიმინაციის ბრალდებით.

ამის შემდეგ კი საბოლოოდ აიყარა მუშაობაზე გული, მაინც არ მამუშავებენო. არც ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა. სამაგიეროდ ხალხი აქ საოცრად ბრიყვები არიან: გზაზე ტოვებენ შესანიშნავ „ტაჩკებს", რომელთაც კეტავენ ისეთი გასაღებით, რაც ჩვენთან კომოდის გასაღებად თუ იხმარება მხოლოდ, ისიც საბავშვო ბაღებში. თანამემამულენიც მოიძებნენ, რომლებიც მოპარული მანქანის გაყიდვას იქაღნებოდნენ.

შედეგი – ოთხი წელი ციხე. მას სასჯელის სიმსუბუქეც კი გაუხარდა. ჩვენთან ხომ თორმეტი წლით დააჯარიმებდნენ, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით... პატიმართა უფლებებისათვის ბრძოლის ფაქტის გათვალისწინებით.

პატიმრობის პირობებმა იგი შოკში ჩააგდო... იგივე ხამბურგის გარეუბანში მოუწია ჯდომამ.

* * *

დავიწყოთ იქიდან, რომ მისი ეტაპირება მოხდა, მართალია, ბორკილების გამოყენებით, მაგრამ ვარანოკით კი არა, ავტობუსით. როდესაც ადგილზე მიიყვანეს, პირველ რიგში ჰკითხეს, აქვს თუ არა რაიმე პრეტენზია გამყოლების მიმართ? ამ შეკითხვამ საერთოდ დააბნია. მიხვდა რა შეკითხვის შინაარსს, განაცხადა, რომ გზაში მოსწყურდა, მაგრამ სასტიკმა ბადრაგმა ყავაც კი არ შესთავაზა. აი, მაშინ საერთოდ გააფრინა, როდესაც, მის თვალწინ, საცოდავ ბადრაგს საკმაოდ მკაცრი საყვედურები აკადრეს.

ეს ჯერ კიდევ არაფერი. მას დაუსვეს კითხვა: როგორია მისი სექსუალური ორიენტაცია და ხომ არ ავლენს აგრესიულობას ჰომოსექსუალისტთა მიმართ? მისი სიტყვებით, ეს იყო სრული ფინიში...

გერმანია მაინც გერმანიაა. ძირისძირობამდე ჩაეძიენ, მისი ტანსაცმლის ქვეშ დაინახეს, რომ უფლებათათვის მებრძოლობა მხოლოდ მონაგონი ყოფილა. სინამდვილეში საქმე ჰქონდათ ჩვეულებრივ დამნაშავესთან.

ამიტომაც იგი გაანაწილეს ყველაზე საშიშ, გამოუსწორებელ დამნაშავეებთან ერთად. საბრალონი... რა იცოდნენ ვინ ჩაუსახლეს მათ...

შეიყვანეს კამერაში... ბოდიში, ოთხსაწოლიან ოთახში, რომლის გასაღებიც კამერის მამასახლისს ჰქონდა. იდგა ტელევიზორი, მუშაობდა რადიოკვანძი ოთხი პროგრამით, მაგრამ ყველას ცალკ-ცალკე შეეძლო იმის მოსმენა, რაც მოსწონდა – ყურთსაცვამების საშუალებით, რა თქმა უნდა...

პარაშა? უფრო სწორედ, ჩვეულებრივი ვატერკლოზეტი სპეციალური ფარდებით იყო დაფარული. დუშიც იყო. ჭერქვეშ მონიტორი იყო დაკიდებული.

* * *

არც კამერის ბინადრებს უნდა დავუკარგოთ დამსახურება... ისინი ხელათ მიხვდნენ, რომ ყველაფერს ჯობია გაჩუმება. იმიტომ, რომ პირველი, რაც იგორმა გააკეთა, ეს იყო გაშიშვლება წელს ზევით და ყველამ დაინახა ტრეტიაკოვის გალერეის ფილიალი. ერთ-ერთი მეზობელი პოლონელი აღმოჩნდა. მან მოახერხა მისი სვირინგების „გაშიფვრა" და გადათარგმნა. თარგმანის აზრი იმას მიანიშნებდა, რომ იგორი იჯდა საშინელ საბჭოთა ბანაკში, რომელსაც ეწოდებოდა ვდელლაგ. ციხემ ჩათვალა, რომ იგი საბჭოთა მაფიის ჰამბურგის ფილიალის მეთაურია. ამ აღმოჩენის აღსანიშნავად იგორმა სასწრაფოდ დააჯარიმა გერმანელი გამოუსწორებელი დამნაშავეები გერმანული მარკების n-ური რაოდენობით.

შემდეგ მოხდა სკანდალი. იგორმა გაიგო: მისი შკონკის, ნარის, საწოლის მეზობელი... მიუხედავად იმისა, რომ კოლეგაა – ყაჩაღი, მაგრამ „ცისფერია". იგორის ცნობიერებაში უმალვე შეერთდა ცნებები: „პიდარასტ პარაშასთან!" ეს უკანასკნელი ვერ მიხვდა, რა უნდოდათ მისგან და სულ ტყუილად, მიიღო კიდევაც ქოთები... იგორი ხუთი დღე-ღამით კარცერში გაისტუმრეს.

* * *

ბოლოს და ბოლოს, როგორც იგორი ამტკიცებს, მაინც მოხერხდა გერმანელი ძმებისათვის (გერმანელი ცხვრებისათვის · მისი ტრანკრიპციით) გაგების ელემენტარული ცნებების ჩაგონება. ეს ყველაფერი ხდებოდა სადურგლო სახელოსნოში მუშაობის პროცესში.

ციხეში კარტი აკრძალული იყო... გაუჭირდებოდა იგორს „სტირების" გაკეთება. გააკეთა და მაშინვე ბურაში გაფცქვნა, არა მარტო თავისი, არამედ სამი მეზობელი კამერის კონტინგენტი. ამის შემდეგ ციხის ცხოვრებამ საბოლოოდ მიიღო დომხალის სახე...

ერთადერთი, რაც დღესაც ვერ მოუნელებია, „ობშიაკის" შექმნა ვერ მოახერხა, მოგეხსენებათ, წყეული კაპიტალისტური ინდივიდუალიზმი. სამაგიეროდ, მშვენივრად მოახერხა პატიმრების გადანაწილება „კაი ბიჭებად" და „ჭრელებად". იგი ყვებოდა, თუ როგორი სასაცილო იყო გერმანელების თვალში „ჩეფირის" ხარშვა და „ბრადიაგულად" დალევა. მცირე ხნის შემდეგ მთელი ციხე რუსული კანონებით ცხოვრობდა. სრული ბედნიერებისათვის იგორს ერთი-ორი „ჩვენი ბიჭი" არ ჰყოფნიდა.

და მაინც, ბევრი რამ არ მოსწონდა. მას აცოფებდა, რომ „ცისფრები" და „კაი ბიჭები" ჭამენ ერთად. თუმცა, აქ ჭურჭელი ინდივიდუალური იყო. ამიტომ პიდარების ჯამების დახვრეტას აზრი არ ჰქონდა. იგი აღშფოთებული იყო, რომ ეს უკანასკნელნი გერმანულ ზონებში შესანიშნავად ცხოვრობენ... სხვებისათვის მათთან ურთიერთობა არ იყო „ზაპადლო". ეს „ზაპადლო" გერმანელ ძმებზე ისეთივე შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორსაც პაპუასზე – მინის ბუცები.

* * *

დროთა განმავლობაში ისწავლა მეტ-ნაკლებად ლაპარაკი გერმანულად. უყვებოდა, რა დღეში ჰყავდათ რუსეთის ზონაში „პედიკები". მაგრამ სულ მალე დიდი გაოცება ეწერა. იმიტომ, რომ პირდაპირ განუცხადეს, რომ მისი მონათხრობი საცოდავი პიდიკების შესახებ, კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს. წარმოგიდგენიათ?

* * *

მე ვკითხე, მოუწყია თუ არა საქმის გარჩევა? მიპასუხა, რომ იყო ერთი შემთხვევა... ციხეში იყო ჩოგბურთის კორტი, ბილიარდი, კარგი სპორტდარბაზი. ბევრი გაძლიერებულად ვარჯიშობდა. ადმინისტრაციას ეს მოსწონდა. ჩვენთან მაშინვე გაქცევისათვის მზადებად ჩაგითვლიდნენ და შენს პირად საქმეს წითელ ზოლს გადააკრავდნენ. ჰოდა, ერთმა ასეთმა გლადიატორმა სცადა „რამკების მტვრევა"– მაგრამ რისი გამკეთებელი იყო მსუქანი გერმანელი ბიურგერი ჩვენი იგორის წინააღმდეგ! როგორც იტყვიან, „მარტორქებს რქებს ამტვრევენ". იგორმა პონტზე წამოაგო გლადიატორი. თვალში ორი თითი ატაკა ყელში ჩაარჭო თავისი „ფიქსები", რომლითაც ჩვენს ზონებში მავთულხლართის გადაღეჭვაც შეუძლიათ, შემდეგ გლადიატორს შეჰპირდა, რომ მის სისხლს დალევდა. და თუმცა ეს ყველაფერი რუსულ „ფენიზე" ჟღერდა, გლადიატორმაც და სხვა დანარჩენებმაც უმალ დაიჯერეს. ისე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გერმანელებმა „კუმთან" არ ჩაუშვეს. იგორი დარწმუნებულია, რომ გერმანელები არაფერში არ ვარგიან. „შირპატრების" წარმოებაც კი არ იციან. საჭირო გახდა გერმანული ციხის ცხოვრებაში ჩვენი ცივილიზაციის ეს გამოძახილი დაენერგა. მან მოახდინა დემონსტრირება, თუ როგორ უნდა წინდების ძაფებიდან კალმის ან ფოტოსურათის ჩარჩოს დამზადება...

* * *

იგორი გამოვიდა ციხიდან და დაბრუნდა რუსეთში. ხელცარიელი კი არა, სხვათა შორის; ჩამოიყვანა ექვსასიანი „მერსედესი" და საკმაო ფულიც ჩამოიტანა. ამბობენ, ახალ ეპიაეს აპირებსო...

* * *

დაბოლოს, კიდევ ერთ თეზისს ჩამოვაყალიბებ. დიახ, დასავლეთმა მოუგო კომუნისტებს ყბადაღებული ცივი ომი. სამაგიეროდ თავისი ცივილიზაცია წააგო. ვისთან? ვისთან და იგორთან. მეტი რა უნდა დანაშაულებრივ საბჭოთა ადამიანს, რომელიც საზღვარს გარეთ გაძვრა და გაძლიერებულად ვრცელდება მთელს პლანეტაზე. ასე რომ, პატრიოტ-კომუნისტებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: 10-15 წლის შემდეგ დედამიწაზე კრიმინალური სოციალიზმი გამეფდება. განა ამაზე არ ოცნებობდნენ პროლეტარიატის დიდი ბელადები?

ანდრეი ივანოვი



## სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მეტროპოლიტენს

29 ივნისს, საღამოს მოსულმა ძლიერმა წვიმამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა თბილისის მეტროპოლიტენის ობიექტებს. სადგურ „დიდუბეში" ნიაღვარი შემოვარდა, ჩამოყარა დიდი რაოდენობით ხრეში და ტალახი, ჩახერგა ძირითადი ლიანდაგი. ჭუჭყით და ლამით გაივსო აგრეთვე სადგურ „ახმეტელის თეატრის" მთელი წინა ტერიტორია. თუმცა წყალმიმღებმა ცხაურებმა შემოვარდნილ წყალს სადგურში შესვლის საშუალება არ მისცეს.

მეტროპოლიტენის ღია ტრასაზე წყლის შემოსვლის გამო საკონტაქტო რელსთან კაბელის შეერთების ჩამრთველ ყუთში მოხდა მოკლე ჩართვა, დაიწვა გამანაწილებელი კარადა. ხუთწლეულის ქუჩაზე საბურთალოს უბანთან შემაერთებელ ხაზზე მოსული წყალი სადგურ „წერეთელზე" შევარდა, რასაც ესკალატორების გამორთვა მოჰყვა. წყლის ამოტუმბვა ამჟამადაც გრძელდება. მეტროპოლიტენში ღამით საგანგებოდ შექმნილი შტაბის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად გუშინ, დილის 6 საათზე მეტროპოლიტენმა ჩვეულებრივი განრიგით განაახლა მოძრაობა. თუმცა მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობის თქმით, რამდენიმე ობიექტი დროებითი სქემებით მუშაობს და დიდი მოცულობის და სირთულის კაპიტალური სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს. (მოამბე-ექსპრესი)

## სასმელი წყლის მიწოდება აღადგინეს

სამდღიანი შეფერხების შემდეგ, რაც ხრამრუსთავის წყალსადენის მაღალი ძაბვის ერთ-ერთი ანძის დაზიანებით იყო გამოწვეული, დღეს დილით რუსთავის მოსახლეობას სასმელი წყალი კვლავ მიეწოდა. საქენერგოს მეოთხე მოძრავი მექანიზებული კოლონის სპეციალისტთა მიერ დაზიანებული ანძის აღდგენითი სამუშაოები უმოკლეს დროში შესრულდა.

დღეისათვის ხრამის სათავო ნაგებობა მხოლოდ ერთი, მაღალი ძაბვის ხაზით იკვებება. სარეზერვო ელგადამცემ ხაზზე – მარნეული-2-ზე, ქარიშხლისაგან წაქცეული ანძა კვლავ აღსადგენია. სპეციალისტთა აზრით, თუ საქენერგოს ხელმძღვანელობა დროულად არ მიიღებს ზომებს, შესაძლებელია ქალაქი კვლავ სასმელი წყლის გარეშე აღმოჩნდეს. (მოამბე-ექს-პრესი)

## წყალდიდობამ გზა დააზიანა

ამ დღეებში მომხდარმა წყალდიდობამ უკვე მერამდენეჯერ გამოიყვანა მწყობრიდან ნაბეღლავი-ბახმაროს გზა. როგორც გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან „მოამბე-ექსპრესის" კორესპონდენტს აცნობეს, სოფელ ნაბეღლავთან სერიოზულად დაზიანდა გზის 5 კილომეტრიანი მონაკვეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუს სამხედრო ტყვეებს ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის გზის გაყვანაზე ამუშავებენ

რუსული ყოველკვირეული გაზეთის „ინტერფაქს-აიფ“-ის ინფორმაციით (რომელიც თვითმხილველთა მონაყოლს ეყრდნობა), ჩეჩნეთში, არღუნის ხეობაში მდებარეობს საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც ორასი რუსი სამხედრო ტყვეა მოთავსებული. ტყვეებს ითუმკალესა და შატილს შორის გზის გაყვანის მშენებლობაზე ამუშავებენ. დღე-ღამის განმავლობაში ტყვეები ჯაჭვით არიან გაბმულები. ჩეჩნეთის ზოგიერთი ხელისუფალი ინფორმირებულია არღუნის ხეობაში საკონცენტრაციო ბანაკის არსებობით. რუსეთის უშიშროების საბჭოს პრეს-მდივანმა იგორ იგნატიევმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე ერთი კვირის წინ პირადი შეტყობინება გაუგზავნეს ასლან მასხადოვს და ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერმა მოვლადი უდუგოვმა კი განაცხადა, რომ ეს ამბავი სურვილის სინამდვილედ გასაღების ცდა და მონაჭორია.

გაზეთმა „ინტერფაქს-აიფ“-მა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია უდუგოვის ეს განცხადება და პრეზიდენტ მასხადოვს მიმართა გამოაქვეყნოს ამ ფაქტის უარმყოფელი რეალური ფაქტები. (მოამბე-ექს-პრესი)

## ახლა პირველ დეკადაშიო

„საქენერგოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოს ინფორმაციით, ენგურჰესზე სარემონტო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ელექტროენერგიით მომარაგება შეზღუდვით მიმდინარეობს. ენგურჰესის სარემონტო სამუშაოების დასრულება ივლისის პირველ დეკადაშია გათვალისწინებული, რის შედეგადაც დამატებითი შეზღუდვების ჩატარების აუცილებლობა მოიხსნება.

სააგენტოს ინფორმაციით, ენგურჰესის გაჩერებამ გამოიწვია მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავების შემცირება, რაც დღე-ღამეში 5,1 მლნ.კვტ-სთ-ია. სეზონური ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავება კი 7.1 მლნ კვტ.სთ-ის ტოლია. „თბილსრესში“ მუშაობას განაგრძობს მეცხრე ენერგობლოკი, საშუალო დატვირთვით 70-75 მვტ.

როგორც „მოამბე-ექსპრესისათვის“ გახდა ცნობილი, საქართველოს ენერგოსისტემა პარალელურად აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან მუშაობს და დღე-ღამეში 1,5 მლნ.კვტ.სთ-ის ელექტროენერგიას იღებს. (მოამბე-ექს-პრესი)

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

### ბინები

იყიდება 4 ოთახიანი ბინა მთაწმინდაზე. ფასი 20 ათასი დოლარი. ტელ. 64-38-31; 63-00-78

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯით ვაჟა-ფშაველას II კვ. I კორპ. 8 სართულიანის მე-4 სართულზე. ბინა სუფთაა, რემონტით, ფასი 16000$ ტელ. 66-06-96

სასწრაფოდ იყიდება საბურთალოს ცენტრში კუტუზოვის ქუჩაზე 4 ოთახიანი ყაულაშვილის პროექტის ბინა დიდი ლოჯით. 12 სართულიანის მე-2 სართულზე. უმაღლესი რემონტით, სარდაფით. ფასი 65000$ ტელ. 38-11-19 რეზო

იყიდება პრივატიზებული 6 ოთახიანი ბინა საბურთალოს ბაზართან ახლოს, ორსართულიანი კერძო სახლის პირველ სართულზე. ტელეფონით, გარაჟით, ყველა სათავსოთი, სარდაფით. საწყისი ფასი 50000$ იკითხეთ დავითი ან სულიკო. ტელ. 38-34-53

ქალაქის ცენტრში, რუსთაველზე, იყიდება პრივატიზებული ერთოთახიანი ბინა 14 კვ.მ ფართით. სამზარეულო საერთოა მხოლოდ 1 მეზობელთან, საპირფარეშო საკუთარია, არის საშუალება სააბაზანოს გაკეთების. საწყისი ფასი 4500$ ტელ. 72-47-48 ალიკა ან ნატაშა

იყიდება ერთოთახიანი პრივატ. ბინა 16 კვ. ფართით. იზოლირებული, ხუთსართულიანი სახლის მე-2 სართულზე; ვაჟა-ფშაველაზე, კომაროვის სკოლის ახლოს, მეტრო „დელისთან“. არის მისაშენებელი ფართის საშუალება. ტელეფონით, მუდმივი გოგირდის ცხელი წყლით, დენიც მუდმივადაა. საწყისი ფასი 8000$ ტელ. 67-64-67 იკითხეთ ბაჩო ან თემური

იყიდება ვარკეთილი-3-ში 3 ოთახიანი ბინა 302, კორპ. I სადარბაზო, მე-3 სართ. ბინა 6. გარემონტებული, ტელ. 73-99-43 ფასი 10000$

### ქირავდება

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა მთაწმინდაზე. ფასი 100 ლარი. ტელ. 64-38-31 ან 63-00-78

ვაქირავებ ოთახნახევრიან ბინაში ნახევარ ოთახს (პატარა ოთახს), ცალკე ოთახში იცხოვრებს დიასახლისი. მეტრო „ვარკეთილთან“ ახლოს. ფასი 40 ლარი. ტელ. 73-02-74

გირავდება იაშვილის ქუჩაზე 1 ოთახიანი ბინა 30 კვმ ტელეფონით და ავეჯით. აბაზანა და საპირფარეშო საერთოა 2 ოჯახზე. დაგვიკავშირდით ტელ. 99-61-74

### სხვადასხვა

მოვუვლი და აღვზრდი ნებისმიერი ასაკის ბავშვს. თუ ოჯახური მდგომარეობა მოითხოვს, შემიძლია თვეობითაც დავიტოვო. სიყვარულსა და მზრუნველობას არ მოვაკლებ თქვენს პატარას. ტელ. 73-02-74

იყიდება კარაქის გამოსახდელი აპარატი. ფასი 150 ლარი. ტელ. 39-01-17

იყიდება ანტიკვარული არაბული 2 უჯრიანი ყავისფერი მარმარილოს ნივთი თავზე ლამაზი კალათებით მოხატული ლატუნის ჩუქურთმებით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-43-19

ბინაზე მისვლით, შეღავათიან ფასებში მანიკიურისა და პედიკიურის გამოცდილი სპეციალისტი გთავაზობთ მომსახურებას. ტელ. 99-61-74 ქალბატონი სულიკო

იყიდება ძველებური ნახშირის სამოვარი აქვს ალექსანდრე II-ის გერბი. ფასი 150$, იკითხეთ თამრიკო. ტელ. 99-61-74

იყიდება ლამაზი ანტიკვარული მაგიდა (საპარფიუმერიო) საშუალო ზომის, პატარა სათავსოებით, 2 სკამით. ფასი შეთანხმებით. ასევე იყიდება კაბინეტის ან მისაღების დივანი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-61-74

სოფელ ლესის „ინტელიგენციის“ კუთხის მცხოვრებნი ულოცავენ ლაშა კუნჭულიასა და მაკა ესაიაშვილს ოჯახის შექმნას. უსურვებენ ულევ სიყვარულს და გამრავლებას ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.


**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

**დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41**



ექსპრეს აუდიტ სერვისი EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზირებულია №091

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89


შ.პ.ს. „ლაქტაციის მენეჯმენტის კლინიკა“ (რეგ №1/4-280) ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სთხოვს მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: კრილოვის ქ.№3, ტელ. 95-44-57

## პროგრამა «სათესლე მასალის წარმოებისათვის»

ამერიკული კომპანია „ეისიდია“-ს საქართველოს წარმომადგენლობაში მიიღეს და დაამტკიცეს 3 წლიანი პროგრამა „სათესლე მასალის წარმოებისათვის“, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების (მზესუმზირა, ხორბალი, კარტოფილი, სიმინდი) ჰიბრიდული ჯიშების შემოტანას. პროგრამა 1997 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდება. საქართველოში იმყოფება ამერიკელი ექსპერტი ჯონათან სპერლინგი, რომელიც აზუსტებს 3 წლიანი პროგრამის მონაცემებს. უახლოეს ხანში ამერიკიდან ჩამოვლენ სპეციალისტები და კოორდინაციას გაუწევენ პროგრამის რეალიზაციას. მცხეთის სასელექციო სადგურში უკვე ითესება 15 ჰიბრიდული ჯიშის კულტურა. შეფასება დადებითია. ეს კულტურები კარგად უძლებენ სხვადასხვა დაავადებებს და გამოირჩევიან მაღალი მოსავლიანობით. (პრემიერი)

## «მინდვრის დედოფალი» შეიძლება გახდეს «რაფსი»

„მინდვრის დედოფალს“ 60-იან წლებში სიმინდს ეძახდნენ და მოდურ სასოფლო-სამეურნეო კულტურად ითვლებოდა. უახლოეს მომავალში „საქართველოს მემამულეთა კავშირი“, გერმანელი კოლეგების ხელშეწყობით აპირებს „რაფსის“ თესლის შემოტანას. როგორც ჩვენს კორესპონდენტს აგრარული უნივერსიტეტის დოცენტმა კობა კობალაძემ უთხრა, გერმანიაში სასურსათო ზეთის 92% რაფსისაგან მზადდება. რაფსის უპირატესობა მზესუმზირასთან შედარებით იმაში გამოიხატება, რომ ერთ ჰექტარზე ითესება 3-4 კგ (მზესუმზირა 8-10 კგ). მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 5-6 ტ. (მზესუმზირა 2-3 ტ.). 1 ტ. რაფსისაგან 48% ზეთი მიიღება (მზესუმზირა 25-30%). თუ რამდენად სასარგებლოა რაფსისაგან დამზადებული ზეთი მზესუმზირის ზეთთან შედარებით ამის შესახებ სპეციალისტები ჯერ არაფერს ამბობენ. (პრემიერი)

## საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

### „ც“

ცაბაური – 32 (თბილისი – 25; დუშეთი – 4; ახმეტა – 1);

ცაბოლაშვილი – 26 (დუშეთი – 9; თბილისი – 17);

ცაბურაშვილი – 33 (დედოფლისწყარო – 26; დუშეთი – 4; თბილისი – 2);

ცაგერიშვილი – 22 (ამბროლაური – 12; ბათუმი – 1; თბილისი – 9);

ცავა – 40 (ზუგდიდი – 15; თბილისი – 3; რუსთავი – 3);

ცაია – 27 (ვანი – 9; თბილისი – 6; ბაღდათი – 4);

ცაიშვილი – 26 (ზუგდიდი – 11; თბილისი – 15);

ცალხელაშვილი – 24 (თბილისი – 17; მცხეთა – 3; რუსთავი – 2);

ცანდიშვილი – 38 (თბილისი – 17; რუსთავი – 5; გარდაბანი – 4);

ცარელაშვილი – 37 (გორი – 31; რუსთავი – 6);

ცაცკრიალაშვილი – 41 (თბილისი – 21; გარდაბანი – 18; საგარეჯო – 1);

ცენგირაშვილი – 45 (ქარელი – 22; რუსთავი – 8; თბილისი – 7);

ციბირაშვილი – 48 (თბილისი – 35; ოზურგეთი – 5; თეთრიწყარო – 3);

ციებაშვილი – 24 (ახმეტა – 7; თბილისი – 17);

ცილიკაშვილი – 35 (თბილისი – 17; დუშეთი – 10; გორი – 3);

ცილიკური – 37 (თბილისი – 26; გარდაბანი – 10; საგარეჯო – 1);

ცინაური – 21 (თბილისი – 13; ლაგოდეხი – 8);

ცინკვერაშვილი – 23 (ახმეტა – 18; თბილისი – 4; თელავი – 1);

ცინცქალაძე – 33 (ახალქალაქი – 18; ბორჯომი – 14; რუსთავი – 1);

ცირღილაძე – 40 (თბილისი – 16; ლაგოდეხი – 7; ახმეტა – 6);

ცისკარავა – 34 (ზუგდიდი – 17; ბათუმი – 5; რუსთავი – 4);

ციქურიშვილი – 36 (თბილისი – 29; რუსთავი – 1; საგარეჯო – 6);

ციცვაძე – 35 (თბილისი – 18; ქუთაისი – 6; რუსთავი – 3);

ციციანიძე – 20 (ქედა – 6; ბათუმი – 1; ხელვაჩაური – 13);

ციციკაშვილი – 24 (გარდაბანი – 12; რუსთავი – 9; თბილისი – 2);

ციცილოშვილი – 30 (გორი – 13; თბილისი – 10; დუშეთი – 1);

ციცინაშვილი – 27 (თბილისი – 18; რუსთავი – 7; კასპი – 1);

ციცუაშვილი – 29 (დმანისი – 1; თბილისი – 28);

ციხითათრიშვილი – 24 (გორი – 8; თბილისი – 16);

ციხილაძე – 26 (ქუთაისი – 8; ტყიბული – 1; ცაგერი – 17);

ცოგოშვილი – 37 (ახმეტა – 24; თბილისი – 7; დედოფლისწყარო – 3);

ცოკილაური – 36 (დუშეთი – 11; ახმეტა – 5; თელავი – 4);

ცორიკაშვილი – 31 (თბილისი – 14; სიღნაღი – 9; ლაგოდეხი – 7);

ცორიკაშვილი – 22 (თბილისი – 17; დედოფლისწყარო – 1; სიღნაღი – 4);

ცოფურიშვილი – 46 (დედოფლისწყარო – 22; თბილისი – 14; გარდაბანი – 2);

ცოცანიძე – 31 (ახმეტა – 11; თბილისი – 3; თელავი – 17);

ცუგოშვილი – 25 (გორი – 24; თბილისი – 1);

ცულოშვილი – 23 (თბილისი – 12; დუშეთი – 1; მცხეთა – 10);

ცუცხვაშვილი – 30 (თბილისი – 8; ქუთაისი – 22);

ცქიფაშვილი – 40 (დუშეთი – 12; თბილისი – 5; გარდაბანი – 1);

ცქრიალაძე – 23 (თბილისი – 18; თეთრიწყარო – 5);

ცხაოშვილი – 20 (ახმეტა – 6; გორი – 6; თიანეთი – 4);

ცხელაშვილი – 39 (ქუთაისი – 35; ზესტაფონი – 1; დმანისი – 1);

ცხვედენაშვილი – 29 (გურჯაანი – 27; თბილისი – 1; თელავი – 1);

ცხოშვილი – 36 (გორი – 36).

## მეღვინეობის ქვეყანაში წყალს ღვინოდ ასაღებენ

ბაზარზე სხვადასხვა სახეობის იაფფასიანი და ფალსიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელები იყიდება. შავი ღვინის უმეტესობა ფალსიფიცირებულია და არც ერთი სახის შავ ღვინოზე ლიცენზია გაცემული არ არის. ფოთში ჩამოართვეს დიდი რაოდენობით „ხვანჭკარა" და „ქინძმარაული", აჭარაში ფალსიფიცირებული ღვინოების 30% განადგურებულია. ამჟამად თბილისში ღვინოების შემოწმებაზე შვიდი ბრიგადა მუშაობს. (პრემიერი)

## ამერიკელები „ნოუ-ტილლის" მეთოდით თესავენ და მოსავალიც ჩინებულია

ბოლო წლებში აშშ-ში და გერმანიაში სრულყოფილი გახდა ნიადაგის დამუშავების გარეშე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოუხნავად მოყვანა. მოუხნავად თესვა ან „ნოუ-ტილლის" მეთოდი ჩვენში ცნობილი იყო 70-იან წლებში, მაგრამ პრაქტიკულად ვერ დაინერგა. ამერიკულმა კომპანიამ „ეისიდიამ" საქართველოში შემოიტანა ერთი სათესი მანქანა „ჯონდირ", რომელიც აეწყო მცხეთის სასელექციო სადგურში და ნიადაგის მოუხნელად დაითესა სიმინდი და ხორბალი. ჯერჯერობით „ნოუ-ტილლის" მეთოდით დათესილი კულტურები არ გამოირჩევა ჩვეულებრივი წესით დათესილისაგან. საბოლოო შედეგები 2 თვეში გამოჩნდება. (პრემიერი)

## ვაქცინის შემოტანა არ ხერხდება

საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტმა ხელშეკრულება გააფორმა საფრანგეთის ანალოგიურ სამსახურთან. ხელშეკრულება ითვალისწინებს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით საქართველოს მომარაგებას. მიუხედავად იმისა, რომ ხაზინაში სათანადო დოკუმენტაციაა წარდგენილი, თანხების უქონლობის გამო გადარიცხვა ვერ მოხერხდა. (პრემიერი)

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"

# ბრეჟნევთან კავშირს იყენებდნენ ინტრიგების დასახლართად

## ფილიპ ბობკოვი

სუკ-ის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში სემიჩასტნის არაერთხელ დაუყენებია პარტიის ცკ-ს წინაშე მასშტაბური საკითხები ქვეყნის ცხოვრების შესახებ. შელეპინისაგან განსხვავებით, გაცილებით მწვავედ გრძნობდა დასავლეთის სპეცსამსახურებისაგან გამომდინარე საფრთხეს და მოითხოვდა უფრო სერიოზულ მიდგომას მათი გეგმებისა და ჩანაფიქრის შესახებ ინფორმაციის მიმართ. სამწუხაროდ, ცკ მას ყოველთვის არ უჭერდა მხარს.

უნდა ითქვას, რომ ბედი არ ანებივრებდა მას. შეიძლება სემიჩასტნისათვის მისი, შედარებით, ახალგაზრდული ასაკი იყო ხელისშემშლელი, ბრეჟნევის დროს ხომ ხელმძღვანელთა უმეტესობა საპატივსაცემო ასაკში იყო, ეს კი, კომკავშირელი სემიჩასტნის ირგვლივ ინტრიგების ქსელი იხლართებოდა. ბრეჟნევის მომხრეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შელეპინი გენერალური მდივნის პოსტს უმიზნებდა და ამ აზრს პარტიის ლიდერსაც უნერგავდნენ. სემიჩასტნი კი შელეპინის „კაცად" ითვლებოდა, შესაბამისად – „მეტოქეთა" ბანაკის წარმომადგენლად. გასაგებია, რომ არ იყო სასურველი ფიგურა. სუკ-ის ხელმძღვანელის მიმართ უნდობლობის ცეცხლს ნავთსასხამდა სუკ-ის განყოფილებების უკრაინიდან მოსული პარტიული ხელმძღვანელების სწრაფვა თავმჯდომარის სავარძლისაკენ. ბრეჟნევთან კავშირს ისინი მშვენივრად იყენებდნენ ინტრიგების დასახლართად.

იგი უსამართლოდ დაისაჯა. 1967 წელს სტალინის ქალიშვილი – სვეტლანა ალილუევა ინდოეთს გაემგზავრა. ის, რომ მისთვის აუცილებელი იყო ეს მოგზაურობა, არავისში ეჭვს არ იწვევდა. მას სამშობლოში მიჰქონდა მეუღლის ნეშტი. ასე ფიქრობდა ყველა და მათ შორის, სემიჩასტნიც. თუმცა ეს მოგზაურობა უნდა შეთანხმებულიყო უფროსობასთან. სემიჩასტნიმ მიიღო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ა.ი. მიქოიანის და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა.ნ.კოსიგინის სანქცია.

როგორც ცნობილია, ალილუევა აღარ დაბრუნებულა სამშობლოში. ამის შესახებ დღესაც ათასგვარი ხმები დადის, მაგრამ მე არ მინდა დავეყრდნო კულუარულ მითქმა-მოთქმას. მე ვწერ მხოლოდ იმას, რაც ვიცი. თავისი ქვეყნის მიზეზები სვეტლანა ალილუევამ აღწერა მის მიერ გამოქვეყნებულ მოგონებებში. მე მგონია, რომ მან გადაწყვეტილება ემოციების გავლენით მიიღო, უფრო მისთვის მიყენებული შეურაცხყოფის გამო. 1967 წლის 5 მარტს ის მივიდა საბჭოთა საელჩოში, თან ჰქონდა ბილეთი მოსკოვამდე, 6 მარტისათვის. სვეტლანა შეხვდა ბენედიქტოვს, საბჭოთა კავშირის ელჩს. ისადილა კიდევაც მასთან ერთად. 5 მარტი მისი მამის გარდაცვალების დღე იყო და არავინ ჩათვალა საჭიროდ ადამიანური თანაგრძნობა გამოეხატათ მის მიმართ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო სტალინი, ის მაინც მისი მამა იყო. სვეტლანა ალილუევა დატოვეს მარტო, თავის უსიამოვნო ფიქრებთან ერთად, ხოლო ღამით ის აშშ-ს საელჩოში გამოცხადდა.

სემიჩასტნის მოწინააღმდეგეებმა არ დააყოვნეს, ისარგებლეს ამ სიტუაციით და ბრალი დასდეს მას სიფხიზლის მოდუნებაში – თითქოსდა მას არ უნდა გაეშვა სვეტლანა ალილუევა ქვეყნიდან. სემიჩასტნი გაანთავისუფლეს სამსახურიდან.

შეეძლო კი სემიჩასტნის ალილუევას არგაშვება მეუღლის დასაფლავებაზე? ასე რომ მომხდარიყო, ეს გამოიწვევდა კანონიერ აღშფოთებას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. წარმომიდგენია, რამდენი ბრალდება დაგვატყდებოდა თავს, არაადამიანურობაში, ბარბაროსულ გულგრილობაში სხვისი ჭირის მიმართ დადანაშაულებით! თანაც, არ დაგავიწყდეთ, სემიჩასტნიმ სვეტლანა ალილუევას მოგზაურობა კანონმდებლობით და ადმასრულებით, ხელისუფლების უფროსებთანაც შეათანხმა. მაშ, რისათვის დაისაჯა იგი!

მე არ დავწერდი ამის შესახებ, ასეთი შემთხვევა რომ გამონაკლისი ყოფილიყო. მაგრამ რამდენი ნიჭიერი, ჭკვიანი ადამიანი ჩამოუცილებიათ გზიდან ამგვარი მეთოდებით, რამდენი სხვისი გულისათვის დაისაჯა!

1967 წელს სემიჩასტნი გადაიყვანეს უკრაინაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხელები არ ჩამოუშვა, ისევე ენერგიულად შეუდგა მუშაობას, როგორც ადრე. ახალ ადგილზეც ავტორიტეტი დაიმსახურა.

როდესაც სემიჩასტნი მოსკოვში დაბრუნდა, ჩვენ რამდენიმეჯერ შევხვდით ერთმანეთს კრებებზე (იგი მუშაობდა საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარის მოადგილედ), შევხვედრივართ კონფერენციებზეც.

ჩვენ ერთმანეთს ხანდახან ტელეფონით ვუკავშირდებოდით ბოლო წლებში. გულახდილად რომ ვთქვა მე არ მომეწონა მისი „მოგონებები" უშიშროების ორგანოებში მუშაობის შესახებ. ჩემი აზრით, ის არ არის ობიექტური. ვფიქრობ, აქ დიდი როლი ითამაშა ძველმა წყენამ და მაინც მას შეეძლო ზოგიერთი გამოთქმისაგან თავის შეკავება. კერძოდ, იგი წერს, თითქოს ბრეჟნევი მას ხრუშჩოვის ფიზიკური განადგურების შესახებ ელაპარაკებოდა. ეს, რა თქმა, უნდა გამონაგონია.

მე ვფიქრობ, რომ, თუ ადამიანს მაღალი პოსტი ეკავა, სულაც არ ავალდებულებს ეს მას, რაც იცის, ყველაფერი მოჰყვეს, მით უმეტეს, ეს ინფორმაცია მას მისი მდგომარეობის წყალობით გააჩნია. განა ცოტა მითქმა-მოთქმა იყო? ვფიქრობ, მაღალი თანამდებობა სიჩუმეს უფრო გვავალებს. საზოგადოების სენსაციებით აღელვება არ არის ძნელი საქმე.

ძალიან არ მინდოდა, რომ არასწორი ინფორმაცია ისტორიის კუთვნილება გამხდარიყო, სინამდვილეში მომხდარი ფაქტის სახელით.

თუ სემიჩასტნის სუკ-ში მუშაობის პერიოდს შევაფასებთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მან დიდი წვლილი შეიტანა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობის სრულყოფაში. მით უფრო, რომ სულაც არ ვცდილობ, მივჩქმალო უარყოფითი მომენტები.

მკითხველი ნუ შეეცდება ჩემს მსჯელობებში წინააღმდეგობათა მოძებნას. მრავალი ჩვენთაგანის დახასიათება ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. დროთა განმავლობაში იცვლება ერთი და იმავე საგნის შესახებ შეხედულება, ბევრი რამის გადაფასება გვიხდება. ხშირად ხდება, რომ ადამიანი ვალდებულია ხელმძღვანელთა მითითება შეასრულოს, მაშინაც კი, როდესაც შინაგანად, გულის სიღრმეში არ ეთანხმება მათ, მაგრამ ესმის, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი შემგუებლურად იქცევა. თუმცა, როდესაც მნიშვნელოვანი, პრინციპიალური საკითხი წყდება, იგივე ადამიანს შეუძლია არა მარტო გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, არამედ დიდ რისკზე წასვლაც კი.

**გაგრძელება იქნება**

დასაწყისი იხ. „საქართველო" №48-64.

## მეხანძრეები მთელი ღამის განმავლობაში ხალხის გადარჩენაზე მუშაობდნენ

29 ივნისს სახანძრო სამსახურმა ოთხი გასვლა მოაწყო კოკისპირული წვიმისაგან დაზარალებული ხალხისა და ავტომანქანების გადასარჩენად.

სახანძრო სამსახურის მთავარი სამმართველოდან პრაიმ-ნიუსს აცნობეს, რომ მთელი ღამის განმავლობაში 7 სახანძრო მანქანა მუშაობდა ხალხის გამოყვანაზე კოკისპირული წვიმისაგან დატბორილი სახლებიდან მიცკევიჩის ქუჩაზე და ლოტკინის გორაზე.

წვიმის შედეგად წუხელ დილმის ხიდთან და მაგნიტოგორსკის ქუჩაზე ავტოსაცობები შეიქმნა. ხალხი წყალდიდობის გამო ვერ ახერხებდა ავტომანქანებიდან გადმოსვლას. შემთხვევის ადგილზე 3 სახანძრო მანქანა გავიდა.

სტიქიამ მნიშვნელოვნად დააზიანა დედაქალაქის საავტომობილო გზების საფარი. (პრაიმ-ნიუსი)

## საქართველოს მიეცა შანსი

„საქართველოს პირველად მიეცა შანსი თავისი კანდიდატურა წარადგინოს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე და მოიპოვოს იგი" – განაცხადა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა ვოიცეხ ლამენტოვიჩმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ვახტანგ ყოლბაიასთან შეხვედრაზე.

ლამენტოვიჩის თქმით, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მეექვსე სესიაზე, რომელიც 5 ივლისს შედგება, გაიმართება ასამბლეის 5 ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები.

პრაიმ-ნიუსისთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მხრიდან ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები არიან პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და თავად ვახტანგ ყოლბაია.

ამავე სესიაზე, რომლის მუშაობაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციაც მიიღებს მონაწილეობას, წარმოდგენილი იქნება ასამბლეის მუდმივმოქმედი კომისიის მოხსენება აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ. (პრაიმ-ნიუსი)

## აზერბაიჯანმა ბრალი დასდო საქართველოს

აზერბაიჯანის სასაზღვრო ჯარების სარდალმა აბას-ალი ნოვრუზოვმა ბაქოში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისთვის ცნობილი გახდა საქართველოს ტერიტორიის გავლით სომხეთისათვის აზერბაიჯანული ნავთობის უკანონოდ მიწოდების ფაქტები. გენერალი არ გამორიცხავს, რომ საქართველოს რომელიმე ხელმძღვანელი პირი ფარულად ყიდის საქართველოსთვის მიწოდებული ნავთობის ნაწილს სომხეთში.

საქართველოს სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ იური შალამბერიძემ პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში არ გამორიცხა საქართველოდან სომხეთისათვის ნავთობის მიწოდების შესაძლებლობა, თუმცა კატეგორიულად უარყო ვარაუდი, რომ ამ საქმეში მთავრობის რომელიმე წევრი იყოს ჩარეული.

გარდა ამისა, როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს საბაჟო სამსახურის თავმჯდომარის მოადგილემ ვასილი კადენეცმა აცნობა, ადრე სომხეთს მიეწოდებოდა საქართველოდან აზერბაიჯანული ნავთობი, მაგრამ ბაქოში ედუარდ შევარდნაძის თებერვლის ვიზიტის შემდეგ ნავთობის არალეგალური გატანა შეწყდა.

კადენეცის თქმით, ზოგიერთი კერძო ფირმა დღესაც მოითხოვს სომხეთში ნავთობის ექსპორტის უფლებას, რაზეც მათ საბაჟო სამსახური უარს ეუბნება. (პრაიმ-ნიუსი)

# კროსვორდი



თარაზულად: 1. პოლონელი პოეტი; 2. ერის წარმოშობა; 3. ისლანდიის დედაქალაქი; 4. რომაულ მითოლოგიაში – დროის ღვთაება; 5. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი; 6. მდინარე ამაზონის შესართავი; 7. კანადის დედაქალაქი; 8. ბერძნულ მითოლოგიაში – ღვთაება, რომელიც განაგებს წელიწადის დროთა მონაცვლეობას; 9. ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო წინა აზიაში; 10. ბუჩქი, რომლის ფოთლებისგანაც მზადდება სალებავი; 11. ნახშირბადის ნაერთი ზოგიერთ ლითონთან; 12. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 13. მდინარე ევროპაში; 14. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 15. ქალაქი იტალიაში; 16. კავშირგაერთიანება; 17. გერმანელი მხატვარი; 18. თვალთმაქცი; 19. გამოუწვავი აგური.

შვეულად: 1. რომაელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 2. საბჭოთა ბიოლოგი; 3. საკურთხევლის ფარდა; 4. ვენახის გაშენება, მევენახეობა; 5. ქართული მონასტერი ქალკედონის ნახევარკუნძულზე; 6. ტროპიკული მცენარე; 7. ძველი ბერძენი მათემატიკოსი; 8. საზეიმო, საბალო ცეკვა; 9. ქართველი პოეტი; 10. მთავარი ქრისტიანული მღვდელთმსახურება; 11. გერმანიის შეიარაღებული ძალების სახელწოდება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ 1935 წლამდე; 12. ქალაქი სიცილიაზე; 13. ქრისტიანული დღესასწაული; 14. არქიტექტურული ელემენტი; 15. გიორგობისთვე; 16. მხატვრული სტილი XVI-XVIII სს. ევროპულ ხელოვნებაში; 17. ფულის ერთეული იუგოსლავიაში; 18. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების დროს ტემპის მცირე შეცვლა; 19. იტალიის ქალაქი; 20. ღონე, არაქათი; 21. ქართველი რეჟისორი; 22. მუსიკალური გამის მეხუთე საფეხური; 23. ბერძნულ მითოლოგიაში მეორეხარისხოვანი ქალღმერთი, რომელიც ბუნების ამა თუ იმ ძალას განასახიერებს; 24. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი.

თამუნა ესაკია

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444